# საერთო გაზეთი

№31 (581) • 7 ოქტომბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## სია, როგორც განაჩენი



**მიხეილ სააკაშვილმა ამ სიით „ნაცმოძრაობა“ საკუთარი ხელით დაასაფლავა!**




ბუბა კიკაბიძე ის კაცია, რომელიც ნიღაბაფარებული, ავტომატით ხელში, დარბოდა დიდუბის მეტროსთან და ზვიად გამსახურდიას მომხრეებს არბევდა. მოგვიანებით, მან რუსთაველის პროსპექტის აღდგენის ფონდიდან, რომლის თავმჯდომარეც ბრძანდებოდა, დიდძალი ფული და ქვირფასეულობა მოსკოვში გაზიდა და იქ რესტორნები იყიდა

## დიდი პოლიტიკური ბორდელი



**დავით გარეჯი, „შესანიშნავი სამეული“ და „უსაზღვრო“ ქვეყანა**

**ნაცმოძრაობა – მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან**

**რით მაოცებს „ქართული ოცნება“, ანუ ბალეტი სოფელში**

## „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებში უმრავლესობით გაიმარჯვებს!

# სია, როგორც განაჩენი

## მიხეილ სააკაშვილმა ამ სიით „ნაცმოძრაობა“ საკუთარი ხელით დაასაფლავა!



**ვახტანგ ხარჩილავა:**

როგორც მოსალოდნელი იყო, აბსოლუტური სიცრუე აღმოჩნდა სააკაშვილისა და ნაციონალების ბაქიბუქი იმის შესახებ, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის ისეთ სიას წარმოადგენდნენ, რომელიც ახალი სახეებით ახალი ამომავალი პოლიტიკური ვარსკვლავებით იქნებოდა გადაჭედილი და გადაბრჭყვიალებული.

ვარსკვლავებით კი არა ეს სია დახავსებული რიყის ქვებით არის ამოხორგილი, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ „ნაცმოძრაობა“ გაკოტრებული ორგანიზაციაა, რომელსაც არანაირი რესურსი არ გააჩნია.

მეტსაც გეტყვით: — **„ნაცმოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი ეს სია, ამ არჩევნებში მონაწილე ნებისმიერი, თუნდაც ე.წ. ერთპროცენტიანი პოლიტიკური ორგანიზაციის პარტიულ სიაზე გაცილებით სუსტი და უსახურია.**

მიხეილ სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ ელიტის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე არასოდეს ვყოფილვარ მაღალი წარმოდგენის, მაგრამ მაინც არ მეგონა, ეს ადამიანები ასეთი გონებაშეზღუდულები თუ იყვნენ. რუსებს აქვთ გამოთქმა: „სილა ესტ, უმა მი ნადა“.

ნაციონალებს „სილა“ როცა ჰქონდათ, ამით თავიანთ უწკუობას მალავდნენ, მაგრამ როგორც

**ბუბა კიკაბიძე, რომელიც, დარწმუნებული ვარ, შემატებით ერთ ხმასაც კი ვერ შეჰმატებს „ნაცმოძრაობას“, გამოკლებით კი უამრავ ხმას გამოაკლებს** იმ „დამსახურებების“ გამო, რაც ამ კაცს მიუძღვის საქართველოს წინაშე.

„საერთო გაზეთის“ ამ ნომერში იბეჭდება მასალები, სადაც საუბარია კიკაბიძის იმ „დამსახურებების“ შესახებ, რომლებიც მთელმა საქართველომ იცის, მაგრამ არ იცის თურმე მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც გვარწმუნებს, რომ კიკაბიძე რუსეთთან შეუპოვრად მებრძოლი მეომარია, რომელიც ვერავინ მოისყიდა.

რუსების წინააღმდეგ ბრძოლის რა მოგახსენოთ, მაგრამ კიკაბიძე მთელი ცხოვრება რუსებს რომ უმღეროდა „ჩიტო-გვრიტოს“, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.

ქართველების იმდენად არა, მაგრამ რუსების უსაყვარლესი მომღერალი იყო კიკაბიძე.

მოსკოვში ჰქონდა გახსნილი რესტორანი „არდაიდარდო“, რომელიც, როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამტკიცებენ, რუსთაველის პროსპექტის სარეაბილიტაციოდ მოსახლეობის მიერ შემოწირული ფულით და ძვირფასეულობით გახსნა. (ამის შესახებ იხილეთ წერილი, რომელიც „ს.გ.“-ს დღევანდელ ნომერში იბეჭდება).

და რაც მთავარია, **კიკაბიძეა ის კაცი, რომელიც 90-იან წლებში ავტომატით ხელში „იცავდა“ თბილისქალაქს „სოფლელების“ შემოსევებისგან და აქტიურად იბრძოდა კანონიერად არჩეული ხელისუფლების დასამარცხებლად.**

აი, ასეთი მომღერალი (მომღერალი კი არა, ეგეც არ იყოს ლუჩიანო პავაროტი) ჰყავს საა-

სუფლებას იცავდნენ.

**სააკაშვილმა გათქვა თავისი თავი და, ფაქტობრივად, აღიარა, რომ მისი სიმპათიები პუტჩისტების და იმ ძალებისკენ იხრება, რომლებმაც დამოუკიდებლობის გზაზე ახლად, ფეხშედგმულ ქვეყანას ზურგში მახვილი ჩასცეს.**

ზურგში მახვილის ჩაცემა არც სააკაშვილს დაუკლია საქართველოსთვის.

პრეზიდენტობამდე და პრეზიდენტობის პერიოდშიც მისი მთავა-



რი საყრდენი ძალა ყოფილი პუტჩისტები, ყოფილი „მხედრიონელები“, კრიმინალები, კრიმინალური მიდრეკილების ელემენტები იყვნენ.

პოლიტიკოსს, რომელსაც კულტურის მინისტრად მხედრიონელი ნიკა რურუა ჰყავდა და ახლა მთავარ მოკავშირედ მისი ძმა ჟორიკა რურუა ჰყავს, რომლის ზონდერ ბრიგადებსაც მიტინგების, აქციების დასარბევად და ყველა შავი საქმის მოსაგვარებლად იყენებდა, როგორ შეიძლება პოლიტიკოსი ეწოდოს?

●

საინტერესოა, კიკაბიძის პირველ ნომრად გამწესების შემდეგ თუ გამოფხიზლდებიან ის ადამიანები, სააკაშვილში ზვიად გამსახურდია რომ ელანდებოდათ და როგორ ჰგავს ზვიადისო — რომ იძახდნენ.

**იდგე შევარდნაძის მიერ დატოვებული მემკვიდრის, მისი საქმის გამგრძელებლის სააკაშვილის გვერდით და თან იმას ამბობდე — მე ზვიადისტი ვარო, ეს არა მარტო ზვიად გამსახურდიას სახელის უდიდესი შეურაცხყოფაა, არამედ ქვეყნის ღალატიც არის, იმ იდეალების და იმ იდეების ღალატია, რისთვისაც იბრძოდნენ და დღემდე იბრძვიან ქართველები.**

ნამდვილ ქართველებს ვგულისხმობ და არა ფალსიფიცირებულ, უბადრუკ არსებებს, რომლებსაც ქართველობასთან არაფერი აქვთ საერთო, გარდა გვარ-სახელისა.

რამდენადაც ვიცი, სააკაშვილი საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად ქვეყნის იმდროინდელი მთავარი „მაყურებლის“, „კანონიერი ქურდის“ ჯაბა იოსელიანის ფინანსური დახმარებით გაემგზავრა.

ცხადია, ჯაბა იოსელიანი კგბ-ს მაღალჩინოსნის თემურ ალასანიას დისშვილს ხელს გაუმართავდა.

მას სხვანაირად მოქცევის უფლება არც ჰქონდა — იოსელიანი, ალასანია ჯარისკაცები იყვნენ რუსული სპეცსამსახურების მიერ

დაკომპლექტებული იმ საოკუპაციო-სადამსჯელო „პოლკისა“, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების დამხობა და საქართველოს დაპყრობა ევალებოდა.

სააკაშვილი, აი, იმ პოლკის შვილობილია, რომელმაც 2003 წელს მეორედ დაიპყრო რუსეთის დავალებით შევარდნაძის მიერ 90-იან წლებში ერთხელ უკვე დაპყრობილი საქართველო.

**2012 წელს „ქართული ოცნების“ გამარჯვება ეს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება შევარდნაძე-სააკაშვილის სისხლიან რეჟიმზე, რომელიც 20 წელი გრძელდებოდა.**

საოკუპაციო-სადამსჯელო „პოლკის“ ნარჩენები „ნაცმოძრაობის“ და მისი ატამანია სააკაშვილის სახით, რევანშისთვის ემზადებიან, თუმცა ეს მცდელობა მარცხისთვის არის განწირული.

ისინი ვერ ხვდებიან, რომ მათი დრო დასრულდა და დასრულდა ახლა კი არა, დასრულდა რვა წლის წინათ და თუ აქამდე მაინც ცოცხლობდნენ და სული ედგათ, ეს იმის წყალობით, რომ ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყვნენ მიერთებულნი.

რით ვერ გაიგეთ, ნაცებო, რომ უკვე გამოგირთეს ეს აპარატი, გ-ა-მ-ო-გ-ი-რ-თ-ე-ს!!!

●

სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას მომხრეების და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქართველების მტრად მოკიდება არ იკმარა და ქართულ




„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# დიდი პოლიტიკური ბორდელი



***„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლიტიკის ექსპერტი, ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე:***

**— არჩევნები ჩვენი საზოგადოებისთვის დღეს განსაკუთრებულად აქტუალური საკითხია. ბატონო სოსო, შეაფასეთ ხელისუფლების ოპოზიცია, რას იტყვით მათზე?**

— თქვენი ნებართვით, ოპოზიციის აღწერას მისი სრული ანატომიით დავიწყებ.

„ნაცმოძრაობამ“ ახლახან წარმოდგენილი პროპორციულ კანდიდატთა სიით დაადასტურა ამ გაერთიანების მანამდე თვალნათლივ არსებული დეგრადაციის და კვდომის პროცესი. ეს სია იყო ამ პროცესის ბოლო აკორდი.

სიის პირველი ნომერი, მოგეხსენებათ, გახლავთ მომღერალი ბუბა კიკაბიძე, მაგრამ ერთ წუთს თავი დავანებოთ მის წარსულს. კიკაბიძეს, 82 წლის ადამიანს, რომელსაც მანამდე პოლიტიკასთან არავითარი შეხება არ ჰქონია და 2–3 საათში დიალიზი სჭირდება, სიის პირველ ნომრად რომ ჩაწერ, რა ჭკუაზე უნდა იყო?!

ჯერ ერთი, კიკაბიძე საზოგადოებაში ასოცირებულია 90-იან წლების პუტჩთან, რაც ნიშნავს, რომ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი, რომლებიც თავს გამსახურდიას მომხრეებად მიიჩნევენ, ავტომატურად არიან მოკვეთილი მათგან. ბევრი სხვა ფაქტორიცაა, რაც ნიშნავს, რომ, ელექტორალური თვალსაზრისით, ეს გადაწყვეტილება არის წმინდა წყლის კრეტინიზმი.

გუბაზ სანიკიძის სიაში ჩასმით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მთელი იმ 9 წლის მანძილზე ჰყავდათ დანიშნული ოპოზიცია, რომელიც როლს ასრულებდა. მე მაშინვე ვამბობდი — 2007–08 წლებში, რომ „ნაცმოძრაობის“ ოპოზიცია იყო ბლეფი და მათი მოქმედებები — მასკარადი.

ხათუნა სამნიძე, თამარ კორძაია, დილარ ხაბულიანი, ცნობილი ლგბტ პროპაგანდისტები და ყველა ის ადამიანი, რომლებიც გამოწვრთნილი არიან ქართული ეკლესიის წინააღმდეგ დაუფარავ ბრძოლაში, ტრადიციების სიძულვილში, ყველაფერი იმ ღირებულის უარყოფაში, რაც ადამიანს ადამიანად ქმნის, ამ სიაშია თავმოყრილი. ამ ნიშნით გააერთიანეს ისინი ნაციონალებმა, მაგრამ საინტერესო ისაა, ხაბულიანი იქნება თუ სხვა, როგორ გრძნობენ თავს ამათ გვერდით.

რა დონის სულიერად მეძავი უნდა იყო ადამიანი, რომ ვერ დაინახო ამ სიის სრული არსი. ვერ დაინახო ის, რომ ეს სია არის მეხუთე კოლონა მისი სხვადასხვა რაკურსებით, სხვადასხვა ფორმებით და განშტოებებით.

**— მეორე ნომრად გრიგოლ ვაშაძე ჰყავთ წარმოდგენილი.**

— ვაშაძეზე არაერთხელ გვითქვამს და რაკი ზოგიერთს მოკლე მეხსიერება აქვს, კიდევ ერთხელ ვიტყვი: გრიგოლ ვაშაძე გახლავთ რუსეთის კგბ-ის თანამშრომელი. იგი არ თმობდა რუსულ პასპორტს 2008 წლის ომის შემდეგაც კი.

**— აქეთ „ქართულ ოცნებას“ აძახებენ რუსეთუმე-რუსეთუმეო და თავად რუსეთის ქვეშევრდომებით გაავსეს სიები. რა გამოდის, ნაცები თავად არიან რუსული აგენტურა?**

— რუსეთში 6 ძირითადი კლანი მოქმედებს.

„ნაცმოძრაობა“ მიბმულია რუსეთში მოქმედ ე.წ. ლიბერალურ კლანთან, რომელიც, თავის მხრივ, ამერიკელ დემოკრატებთან არის ასოცირებული. სააკაშვილი და მისი ხროვა ამ კლანთან არიან დაკავშირებული.

**— იქვე გახლავთ კახა ოქრიაშვილიც.**

— ოქრიაშვილი 8 წელიწადი იყო „ნაცმოძრაობის“ პარლამენტში, 8 წელიწადი „ქართული ოცნების“ პარლამენტში…

პორტირებულების საკითხი სულ სხვა ფენომენია და მოღალატეებისადმი „ქართული ოცნების“ ჟინი და ვნება ცალკე საკითხი.

ამ „ვნებით“ შეპყრობილებს ჰყავდათ ბოლო 8 წელი პარლამენტში ოქრიაშვილი. ამ კაცმა ლეგალური ძარცვით მოიხვეჭა ფული და დღეს ოლიგარქი თუ ვინმეა, ოქრიაშვილია პირველი.

თუნდაც აქედან გამომდინარე, რაზეც ვისაუბრე, ერთი დასკვნა გამოდის: „ნაცმოძრაობის“ სია არის დიდი პოლიტიკური ბორდელი, მეძავების კრებული, რომელთაც, პარადოქსალური ამბავია და კიდევ ჰყავთ ამომრჩეველი.

**— ამომრჩეველი შალვა ნათელაშვილსაც ჰყავს.**

— ნათელაშვილზე ვერ ვისაუბრებ, რადგან ის, უბრალოდ, არ ექვემდებარება არავითარ დეფინიციას.

მართლაც გასაკვირად საოცარი თვისება აქვს ამ კაცს — ხომ არის ქიმიურად აბსოლუტურად სუფთა მეტალები, ასევე არის სინდისისგან კრისტალურად გაწმენდილი პატივცემული შალვა. ქიმიურად რომ განვიხილოთ, იგი ძალიან დიდი წნევების ზემოქმედებით მიღებულ პროდუქტს ჰგავს — სრულებით თავისუფალია სინდისისგან, 1% არ აქვს ასეთი რამ.

მაგრამ 400 000–500 000 ამომრჩეველი რომ ჰყავს დღეს მიხეილ სააკაშვილს და ამ მეძავთა ბრბოს და ნათელაშვილის მომხრეებიც იქვე არიან, არ ვიცი, იმ ქვეყანას რა ეშველება.

პოლიტიკური შეფერილობის ზემოთაღნიშნულ ამ საროსკიპოს ეძახიან ოპოზიციას.

თუ ვინმე საქმიან, ლოგიკურ ოპონირებას გაუწევს ამათ, მის წინ უმალ ყველა კარი იკეტება.

„ნაცმოძრაობაში“, შეიძლება, იყო ადამიანი, მუშაობდა სახელმწიფო აპარატში, მაგრამ, თავისთავად ცხადია, ამის გამო ვერ მოვკვეთთ მათ საზოგადოებისგან, თუმცა, როდესაც თანამდებობებზე იდეური ნაცები არიან მოკალათებული და თან ამბობენ, რომ „ნაცმოძრაობას“ ვებრძვითო, ეს იწვევს საზოგადოებაში ე.წ. კოგნიტურ დისონანსს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შიზოფრენიას.

სამწუხაროდ, 2012 წელს დამარცხებული ნაცები ფრანკენშტეინივით გაცოცხლდნენ და დაიწყეს „ბავშვების ჭამა“ — სახელმწიფოებრიობის ნგრევა…

ვინც ჩამოვთვალე, „ნაცმოძრაობის“ კანდიდატები, მათი სახით იმდენად მძიმე სურათი იხატება, რომ ძნელია, უარესი გამოიგონო.

უარესი სიტუაციაა „ევროპულ საქართველოში“.

უგულავა, ბაქრაძე და ბოკერია — „შესანიშნავი“ ტანდემია, მაგრამ ეს ის ბოკერია არ არის 27 მილიონის გაფლანგვას რომ ედავებოდა პროკურატურა და დღემდე რომ დევს მისი საქმე თაროზე?!

ეს ის უგულავა არ არის, რომელიც 50 მილიონის შესანსვლაზე ამბობდა: კი, ბატონო, ავიღე, მაგრამ სახლში კი არ წამიღია, აქტივისტებს დავურიგეო?!

ეს ის ბაქრაძე არ არის, დანებით და ჩანგლებით გამოდით საომრადო, რომ მოგვიწოდებდა და 800 000 არადეკლარირებული ფუნტი რომ აღმოუჩინეს?!

ეს ადამიანები გამოდიან და პატიოსნებაზე და სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკობენ.

**— „სტრატეგია აღმაშენებელი“?**

— ოოო, აქაც განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

საერთოდ, ქართულ ტელევიზიებს ვერ ვუყურებ, მაგრამ ერთ დღეს, რომ იტყვიან, მოვიკრიბე ძალნი და ბოლომდე ვნახე სარეკლამო კლიპები.

სრულიად კომიკურია მთელი

4 გვ. →











ეკლესიასაც მიადგა.

როგორც თავის თავს უწოდებს, ამ „ტრადიციების მიმდევარმა“, „ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელმა“ კაცმა, რომელსაც ეშმაკის მოციქული ბოკერია უპირებდა თურმე შეცდენას და სატანის გზაზე შეყენებას, მაგრამ ამან გაუძლო განსაცდელს და ქრისტიანად დარჩა, მოკავშირედ და თანამებრძოლად ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლი სექტა — „რესპუბლიკური პარტია“ გაიხადა და მისი ორი წარმომადგენელი საპარლამენტო სიაში შეიყვანა.

ამის გაკეთებაც ქრისტეს ფეხის მკვნეტელმა ბოკერიამ გაიძულათ, მართლმადიდებელო მიხეილ, თუ საკუთარი გონებაგამჭრიახობით მიხვდით, კორძაიას და სამნიძეს თუ შევიყვან სიაში, მხარდამჭერთა რიცხვი გამიმრავლდებაო?

ჯვარი მკიდია მეო, რომ იძახით, სად გკიდიათ ეს ჯვარი, პატივცემულო, ეკლესიის ვეტერანი მგმობელები რომ ამოიყენეთ გვერდით?

რა ცუდი წარმოდგენა გაქვთ თურმე ქართველ ხალხზე, თქვენ რომ თქვენი მრევლი გგონიათ…

ცუდი წარმოდგენა რომ გაქვთ ქართველ ხალხზე, სულელი და გონებაშეზღუდული რომ გგონიათ, იმიტომ ჩასვით ამ სიაში კახა ოქრიაშვილი, გუბაზ სანიკიძე, ნანუკა ჟორჟოლიანი?

პარტიიდან პარტიაში კალიასავით მოხტუნავე ოქრიაშვილი ქართველი ხალხის ვენას რომ არის მიმჯდარი წურბელასავით და სისხლს რომ წოვს, ეგ კაცი მიგაჩნიათ „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთ თვალსაჩინო სახედ თუ მილიონებზე მონადირე გუბაზ სანიკიძე?

**რაღა მიცვალებული დაგისვენებიათ „ზალაში“ და რაღა გუბაზ სანიკიძე შეგიტანიათ სიაში — „ტრუპია“ ეგ, პოლიტიკური “ტრუპი“ და „ტრუპების“ შეგროვებას ვერ უნდა გადაეჩვიოთ, ნაცებო?**

ამდენ „ტრუპს“ ერთი ხმით მოტირალი ხომ უნდა?

პოლიტიკოსად ვერა, მაგრამ დამტირებლად კოდუას ნაცოლარი უეჭველად გამოგადგებათ…

მოკლედ რომ მოვჭრათ, სია კი არა ნამდვილი სასიკვდილო განაჩენი.

ეს კია ასე, მაგრამ თავად ვინ არის ამ სიის ავტორი და შემოქმედი მიხეილ სააკაშვილი — „ნაცმოძრაობის“ ვერაგი მტერი თუ უგნური მოყვარე?

მოდით, ამ კითხვაზე გრიშა ვაშაძემ, ნიკანორ მელიამ და სხვა „ნაცებმა“ იმტვრიონ თავი, ჩვენ კი, ჩვენი მხრიდან, დიდი მადლობა გადავუხადოთ ბატონ მიხეილს, თვითონ, საკუთარი ხელით რომ დაასაფლავა ეს დიდი ხნის წინათ მიწას მისაბარებელი „ნაცმოძრაობა“ და საქმე რომ გაგვიადვილა…

# დიდი პოლიტიკური ბორდელი











3 გვ.

წინასაარჩევნო სარეკლამო პოლიტიკური ბადე, სადაც მოკლე-მოკლე სლოგანებით ცდილობენ წარმოაჩინონ თავიანთი პოლიტიკური პოზიციები. ყველაფერს იმდენად კომედიური სახე აქვს, რომ არაა საჭირო არისტოფანეს მოხმობა, ისედაც უკიდურესად სასაცილოა ყველაფერი. თუმცა განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია კოტე ყუბანეიშვილის ლექსების პოლიტიკურ სლოგანებად გამოყენება.

ჯერ ის დამპალი ბანანი და გაშავებული ვაშლი, კუთხეში გამხმარი ბურგერით და წვენით ვერ გავიაზრეთ და აქვე ყუბანეიშვილის ლექსები? დიდი გაუგებრობაა, მე და ჩემმა ღმერთმა.

როგორც ჩანს, ნათელაშვილს აზრად მოუვიდა ასეთი გენიალობა — გააგზავნა მაღაზიაში გუგავა, გუგავამ მოიტანა გაფუჭებული ბანანი და დამპალი ვაშლი, ტოქსიკური ფერის ლანგარზე შემოაწყვეს ეს გაფუჭებული პროდუქტები და ცოტა ხილის წვენი მიუდგეს გვერდზე. იქვე მორცხვად გამოიყურება ერთი პატარა ბურგერი. ეს გაუგებრობა მთავრდება და ისმის: „როგორც ღვინოს თავსახური, ხალხს სჭირდება სამსახური“ და იყურება ეკრანიდან ვაშაძე შთაგონებული სახით…

ვაშაძე ყუბანეიშვილის ლექსებით რომ აპირებს არჩევნების მოგებას — საოცარია, მაგრამ, უბედურება ისაა, რომ ყოველივე ეს გამიზნულია ისეთ ადამიანებზე, რომლებსაც არ აქვთ არც გემოვნება, არც მეხსიერება, არც ფაქტების აღქმის უნარი, არც აზროვნების შესაძლებლობა და ამასთან ერთად, არც ზნეობა.

მთელი ეს სარეკლამო კამპანია ამ განწყობით არის აგებული.

ადამიანებს, რომლებსაც აქვთ გემოვნება, მეხსიერება და სხვა უნარები, ჩვენი ტელევიზიების საშუალებით ამ კრეტინიზმის პერმანენტულად განმეორებით, ცდილობენ სრულიად წაუშალონ მათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აღქმა.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ აქაც მავნებლობს ოპოზიცია?**

— არა, ჩემო კარგო. ესენი თვითონ არიან ასეთი, თავადაც მოსწონთ, რასაც აკეთებენ. ეს ლექსები და დამპალი ვაშლები თავად ჰგონიათ კარგი რეკლამა. ვაშაძე მიიჩნევს, რომ ყუბანეიშვილის ნაბოდვარი პოეზიაა. როგორც ჩანს, პოლიტსაბჭო შეიკრიბა და პარტიის რეკლამისთვის ეს გადაწყვიტეს, ანუ „როგორც ღვინოს თავსახური“… და ა.შ. მაგრამ, დაფიქრდით, ასეთი რამ ხომ წარმოუდგენელი იქნებოდა 20–30 წლის წინათ?!

ამდენი რყევებისგან ლექია წამოსული ზემოთ, დაძმარდა ეს ლექი უკვე და ამყრალდა ბოლომდე.

**— „ლელოზე“ რას იტყვით, ბატონო სოსო, როგორია „ლელო“?**

— „სკრუჯი“ გახსოვთ? ჩარლზ დიკენსის საშობაო სიმღერა? ხარბი, ფულის მონა, მეპროცენტე, რომელსაც საშობაოდ მოევლინება სული, ამის მერე ის ტრანფორმირდება და ცდილობს გამოისყიდოს ცოდვები, მაგრამ ჩვენ ასეთ ვითარებასთან არ გვაქვს საქმე — არავითარი ანგელოზებრივი სული არ გამოცხადებია ბატონ ხაზარაძეს, არაფერიც არ მოუნანიებია, პირიქით, ამბობს, რომ ყველაფერს ვაკეთებდი სწორადო.

საერთოდ, ჩვენი პოლიტიკური სპექტრის დამახასიათებელი თვისებაა, რომ აბსოლუტურად ყველაფერში ყოველთვის იყვნენ და არიან მართალი.

მაგალითად, გუბაზ სანიკიძეს ფაქტებით რომ დაუმტკიცო — ადრე ასე ამბობდი, ახლა სხვა ამბობ, როდის ხარ მართალიო, პასუხის მაგივრად — ზის აქუბარდიასთან და ისევ იგივე რიხით ლაპარაკობს ზუსტად იმის საწინააღმდეგოს, რასაც ამბობდა გუშინ. თანაც — გუშინაც მართალი იყო და დღესაც მართალია. განსაკუთრებული ფენომენია, ეს ადამიანი, მაგრამ ის, ცხადია, არაა გამონაკლისი. თუნდაც ირაკლი ოქრუაშვილს ერთხელ უთქვამს, რომ რაიმე შეეშალა? — არა. ისიც ყოველთვის მართალია.

**— ამდენი ილაპარაკეთ და ჭეშმარიტი პოლიტიკოსი ქალბატონი გამოგრჩათ.**

— აჰ, ერთადერთი? — ქალბატონი ბურჯანაძე. ეს ის ბურჯანაძე არ არის, სააკაშვილი ორჯერ რომ მოიყვანა პრეზიდენტად? ისიც არ თვლის, რომ ოდესმე რამე შეეშალა. მიიჩნევს, რომ მას კი არა, სამყაროს ეშლება მასთან. თუმცა, უნდა ითქვას, ეს პოლიტიკური კი არა, უფრო ფსიქიატრიული პრობლემაა. და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური სპექტრის პრობლემა. ეს არის საზოგადოების დიდი ნაწილის კომპლექსური ფსიქიური ავადმყოფობის ბრალი.

60 პარტია იყრის კენჭს და იფიქრეთ, რას ნიშნავს ეს.

**— ყველა მათგანის მიზნია საქართველოს ხსნა.**

— დიახ, ყველას ჰყავს სანაცნობო წრე, რომლებიც აქებენ მათ. არავინ ეუბნება, რომ მავნებლობ და წვლილი შეგაქვს იმ საყოველთაო ვაკხანალიაში და ღრიანცელში, რაც არის გამეფებული ქვეყანაშიო.

ასეთი ადამიანები იყრიან კენჭს, საბოლოო შედეგი კი პროცენტულად, მათი შიზოფრენიის პირდაპირპროპორციულია.

აი, რატომ არის განუწყვეტელი დესტრუქცია ქვეყანაში.

იმას კი არავინ ფიქრობს, რეალობა როგორია და საქმიანად როგორ დავუპირისპირდეთ ამასო, არამედ საკუთარ თავს წარმოაჩენენ ვითომ ყოვლისშემძლედ და მცოდნედ და ვერ ხვდებიან, რომ არ აქვთ კომპეტენცია, მეტიც, არც კი ფიქრობენ, საერთოდ, კომპეტენციაზე. გაიხსენეთ, რამდენს აქვს, პრეზიდენტობის სურვილი.

**— ძალიან ბევრს, მაგრამ ახლა პარლამენტში შეძრომაზე ოცნებობს ყველა. კოალიციურ მთავრობაზე ლაპარაკობენ. თქვენი აზრით, ვინ შევა ამ კოალიციაში?**

— კოალიცია თუ შედგა, მასში შევა უსინდისოთა, უცოდინართა, ვირეშმაკათა და მომხვეჭელთა ბრბო.

პატივმოყვარეობა როცა ეუფლება გონებას და თვითკრიტიკა ქრება, ადამიანში უზომოდ, სიმსივნესავით იბერება ანგარების ვნება. ამის გამო სულიერად იღუპება ადამიანი. ეს სჭირს ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს.

პოლიტიკოსს, რომელსაც აქვს ისეთი სულიერი ნაკლოვანებები, როგორიცაა, ამპარტავნება, მესიანისტური განწყობები საკუთარი თავის მიმართ, რელიგიური ფანატიზმი, ანუ არ არის გაწონასწორებული, არ აქვს ღირებული სულიერი თვისებები, ნებისმიერი ეს დეფექტი ქვეყნისთვის ხდება უდიდესი პრობლემა. ამის გამო ბევრი ქვეყანა განადგურებულა.

**— ამ საუბრიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ 31 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს.**

— ამ არჩევნებში „ქართული ოცნება“ ნამდვილად გაიმარჯვებს და გეტყვით, რატომაც.

სახელმწიფო მანქანა, როგორ არაეფექტურადაც არ უნდა მუშაობდეს, იმის გამო, რომ საქმესთან აქვს შეხება, გარკვეული რაციონალიზმის მიხედვით მოქმედებს.

ამიტომაც, მოსახლეობის საღად მოაზროვნე ნაწილი, რომლებიც აცნობიერებენ, რომ მეორე მხარეს სრული საგიჟეთია და ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე ვდგავართ „ნაცმოძრაობის“ და სხვათა სახით, შედეგებზე იწყებს ფიქრს. ის „ქართულ ოცნებას“ მისცემს ხმას, რადგან ამ პარტიაში ელემენტარულ რაციონალიზმს მაინც ხედავს. ისინი სავარაუდოდ, თვითგადარჩენის ინსტინქტის გამო მაინც შეეცდებიან, დესტაბილიზაცია არ მოხდეს და გამანადგურებელი შედეგები არ დადგეს.

საერთოდაც, საქართველოში პოლიტიკური ბრძოლა კი არ არის, არამედ მიდის წინააღმდეგობა „კარმუშკასთან“ მისასვლელად, ყველას მსუყე „ბაგასთან“ ახლოს ყოფნის ღირსად მიაჩნია თავი. თავმოყვარეობის ვნება ისეთი რამეა, რომელიც მთლიანად აშრობს ადამიანის სულს, ახმობს მას და ახევებს. სხვა განცდას ვეღარ იღებს მისი გონება და გული და საბოლოოდ გიჟდება ადამიანი.

სიგიჟის გამოხატულება არის სწორედ ბუბა კიკაბიძის სიაში ჩასმა. ესაა მათი სულიერი განწყობილების კლინიკური სურათი.

30-წლიანმა ტვინის გამორეცხვის ტექნოლოგიებმა იმუშავეს და გამოდის, რომ იმ დონემდე მივედით, საკუთარ თავს ველაპარაკებით უკვე.

აბა, რა შეიძლება ითქვას, როცა სააკაშვილმა ომი წააგო და მერე კიდევ ოთხი წელი პრეზიდენტი იყო. კიდევ უარესი, ომის წაგება მოგებად გამოგვიცხადა და ამღერა და აცეკვა ხალხი რუსთაველზე.

ორი თვით ადრე ვიცოდი ყველაფერი, რაც მზადდებოდა 2008 წლის აგვისტოს თვეში. მთელი თბილისი ლაპარაკობდა ომამდე იმაზე, რამდენი გადაუხადა ამ ავანტურასა და დაგეგმილ პროვოკაციაში სააკაშვილმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის ელჩად წოდებულ მარატ კულახმეტოვს. შედეგად მივიღეთ ის, რომ ახალგორი, რომელიც საერთოდ არ ითვლებოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიად — ჩააბარეს, ზედ მიაყოლეს დალის ხეობა, რომელსაც წინასწარ ზემო აფხაზეთი უწოდეს და ასე გადაულოცეს აფხაზებს, ანუ იგივე რუსებს.

მერე ასეთი არაადამიანური ექსპერიმენტი ჩაატარეს — იქედან გამოყრილი ხალხი ამ საშინელების გამპროტესტებლებს დაუპირისპირეს…











ამის გამკეთებელი ადამიანები კიდევ ლაპარაკობენ და კომიკურ სლოგანებს გვთავაზობენ, შეურაცხყოფასაც გვაყენებენ იმ დანაშაულებებთან ერთად, რაც წლების მანძილზე ჩაიდინეს ხალხის და ქვეყნის წინაშე. მაგრამ ერთი რამ კარგად უნდა ვიცოდეთ: ჩვენს მაგივრად მათ სხვა არავინ გასცემს პასუხს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# საგიჟეთი ღია კარებით

**კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ბუბა კიკაბიძე ის კაცია, რომელიც ნიღაბაფარებული, ავტომატით ხელში, დარბოდა დიდუბის მეტროსთან და ზვიად გამსახურდიას მომხრეებს არბევდა. მოგვიანებით, მან რუსთაველის პროსპექტის აღდგენის ფონდიდან, რომლის თავმჯდომარეც ბრძანდებოდა, დიდძალი ფული და ძვირფასეულობა მოსკოვში გაზიდა და იქ რესტორნები იყიდა**

გაგიჟდნენ, ეს ჩემისები, საქართველო ერთ დიდ კლინიკას დაამსგავსეს. რაც უფრო მოახლოვდება 31 ოქტომბერი, მით მეტად დაიძაბება სიტუაცია ამ კლინიკაში.

მაგალითად, ყოფილი „ოცნებელი“ დავით ჭიჭინაძე ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს. რომ ჰკითხო, კონკრეტულად რა ხდება, ვინ გდევნის, ვინ გავიწროვებსო, დავით აქუბარდიას უბორნიიდან გვიპასუხებს, ყოველღამ ტროცკი, მალენკოვი და მიქოიანი მესიზმრება ხელისუფლების წაქეზებითო. აქუბარდიაც დაუდასტურებს: მაშ, მაშ, სწორედაც რომ ეგრეაო, წუხელ მეც ვნახე ტროცკი და აღიარა, ბიძინა ივანიშვილთან ვთანამშრომლობო.

ამას წინებზე „ნაციონალებმა“ ნანუკა ჟორჟოლიანი წარადგინეს მაჟორიტარობის კანდიდატად ვანში, სამტრედიაში, ხონსა და წყალტუბოში. მეორე დღეს პირდაპირი ჩართვა მოუწყო „ჭუტავიზიამ“ და ისეთები აყბედა, მიქოიანსაც კი პირი ღია დარჩებოდა. ისაო, აგერ ვარ



რეგიონშიო, ხალხნოოოო, აქ სრული სიბნელეა, არც შუქია, არც წყალია, არც გზა არი, არცა კვალიო. რაც მთავარიაო, ადგილობრივი მოსახლეობა იჟუჟება შიმშილითო, ადამიანები ქუჩებში ყრიანო. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ამას, ამ გიჟუა ქალსა, რამსები აერია, გზიდან სადღაც გადაუხვია და პირდაპირ თავის მშობლიურ ჯოჯოხეთის დასახლებაში მოხვდა, სოფელ ქვემო ქვესკნელში.

სამაგიეროდ ბადრი ჯაფარიძე (მამუკა ხაზარაძის სანჩო პანსა) დაფრინავს დაფრინავს მეცხრე ცაზე:

„ადამიანები, რომლებსაც სწორება აქვთ მომავლისკენ, შეხვედრებზე მოდიან შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად“.

ამოდენა კაცს საკუთარი თავი ქვეყნის მომავალი რომ ჰგონია, წასულია იმისი საქმე. დავუშვათ, მოხვდა ბადრი პაპა 1%-იანი ბარიერის წყალობით პარლამენტში, რა მოხდება? არც არაფერი, ეს ადამიანი, რომელსაც ფული ოხრად აქვს, აიღებს ხელფასს, პერიოდულად იბჟუტურებს რაღაცას, ან სულაც არ იბჟუტურებს და საერთოდ ვეღარ დაინახავთ 4 წლის განმავლობაში.

მევახშე ხაზარაძე იძახის, კერძო მევახშეობა დასჯადი უნდა გახდესო, კანონით უნდა აიკრძალოსო. მოდით, ეს საკითხი განვიხილოთ სერიოზულად: ჯერ ერთი, ამ ადამიანს ნამუსი რომ ჰქონდეს, სიტყვა „მევახშე“ საერთოდ არ უნდა ახსენოს, რადგან თვითონ მევახშეა; მეორე – ტიპი იძახის, კერძო პირმა ფული არ უნდა გაასესხოსო, თუ გაასესხებს, დავიჭიროთო, ციხეში ჩავსვათო. ასეთ რამეს ხელიდან წასული გიჟიც არ იტყვის, რადგან დედამიწის ზურგზე არ არსებობს ქვეყანა, სადაც ეს აკრძალულია, უბრალოდ ვერ აკრძალავ და იმიტომ. ვინ ეკითხება მამუკა ხაზარაძეს, ჩემი მეზობელი ჟენია თავისი სიძის მამიდაშვილ ელპიტეს ფულს ასესხებს თუ არა და გარანტიად მოითხოვს თუ არა ოფიციალურ დოკუმენტს ნოტარიუსისგან? როგორც ჩანს, ხაზარაძე (დემოკრატი პოლიტიკოსი) ისეა შესული ეშხში, ვერ ხვდება, რომ ის პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს; მესამე – თუმცა, ჩემი აზრით, ხაზარაძე არც ისეთი არიფია, უბრალოდ ვირეშმაკობს, თუ კერძო გამსესხებლებს საქმიანობა აეკრძალებათ, თვითონ იხეირებს, ხალხს ბანკების გარდა წასასვლელი არსად ექნება;



შეხედავ ხაზარაძეს და სახეზე აწერია – „თავში ამივარდა“, ოღონდ რა აუვარდა, თვითონაც ვერ გაუგია, უკვე მერამდენედ მიმართავს ბიძინა ივანიშვილს, გამოდი, ნუ იმალები, ტელევიზორში ვიდებატოთო, მე პირადად გიწვევ დებატებშიო. ამას, ამ ხაზარაძეს მე-19 საუკუნეში რომ ეცხოვრა, კი ექნებოდა თავისებური ვირეშმაკობა, მაგრამ დუელში ვინმეს გამოწვევას ნამდვილად ვერ გაბედავდა, მაშინ დებატებში გამოწვევა არ იყო. ჰოდა, ახლა იცის, დაშნას არ გაუყრიან ერთ ადგილას და „ბლატაობს“ ბიჭი.

„ნაცების“ სიაში სწერიან ნატო ჩხეიძე და როსტომ ჩხეიძე. ნატო ძალო ზაზა ძიას — ოქუაშვილის — ცოლია, ხოლო როსტომი ძია გახლავთ ნატო ძალოს ძმა. წესით, ზაზა ძია გამოდის როსტომის ქვისლი კი არა და... სიძე, ხოლო როსტომი გამოდის ზაზა ძიას ცოლის ძმა. მოკლედ, კი არის ჩახლართული სიტუაცია, მაგრამ სამივენი ერთი ოჯახისანი არიან. სხვათა შორის, კარგად წავიკითხე „ნაცების“ საარჩევნო სია და ზაზა ოქუაშვილი ვერ აღმოვაჩინე, გამოდის, ოჯახიდან ორნი არიან, ანუ და-ძმანი. ოქუაშვილი მაინც იგულისხმება. სადაც ნატო ძალოა (მე-13 ნომრად), იქ არის ზაზა ძიაც, ალბათ ის კონსულტანტი იქნება ლონდონიდან. რაც შეეხება როსტომს, ის 25-ეა და ალბათ არც კი მოუწევს პარლამენტში შესვლა-გამოსვლა.

აგერ, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, 31 ოქტომბერს საქართველო ახალი დროის ათვლას იწყებსო. ჰოდა, ვნახოთ, მეგობრებო, ვისთან და ვისით იწყებს საქართველო ახალი დროის ათვლას?

პირველი 17 ადამიანი: 1. ბუბა კიკაბიძე, 2. გრიგოლ ვაშაძე, 3. ნიკა მელია, 4. ხატია დეკანოიძე, 5. კობა ნაყოფია, 6. დევი ჭანკოტაძე, 7. ლევან ვარშალომიძე, 8. სალომე სამადაშვილი, 9. ზალიკო უდუმაშვილი, 10. ხათუნა სამნიძე, 11. რომან გიცირიძე, 12. თემურ ჯანაშია, 13. ნატო ჩხეიძე, 14. რამაზ ნიკოლაიშვილი, 15. კახაბერ ოქრიაშვილი, 16. გუბაზ სანიკიძე, 17. აბდულა ისმაილოვი.

აბა, ახლა კარგად დაფიქრდით და მითხარით, ვისთან, ვისით ვიწყებთ ახალი დროის ათვლას? გრიგოლით? კობა ნაყოფიათი, ლევან ვარშალომიძით? სალომე სამადაშვილით? ან იქნებ გუბაზ სანიკიძით, რომელიც „ლეჟანკით“ დადიოდა 2016 წლამდე პარლამენტში? ან იქნებ ვინმე აბდულა ისმაილოვით? ხან მგონია, რომ „ნაცები“ გვეღადავებიან... თუმცა სალომე სამადაშვილმა ისე სერიოზულად განაცხადა, ეს სია გამარჯვებისაა, უნიკალურია, ბუბა კიკაბიძე საქართველოს გამაერთიანებელი პიროვნებააო.

აი, ახლა კი დადგა დრო, ერთი ადამიანის მიერ გადმოცემული წერილი წაგიკითხოთ. ეს იყო ადრე, რამდენიმე წლის წინ, კაცმა დამირეკა, შენთან შეხვედრა მინდაო. კი, ბატონო, რედაქციაში მობრძანდით-მეთქი. ძველი მანქანით მოვიდა, უცნობი იყო, ოთხად დაკეცილი ქაღალდი გადმომცა, წაიკითხეო. წავიკითხე:

„ჩემი აზრით, ხშირად უნდა შეახსენოთ საზოგადოებას, ვინ არის ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე. ეგ ის კაცია, რომელიც ნიღაბჩამოფარებული დარბოდა დიდუბის მეტროსთან ავტომატით და არბევდა გამსახურდიას მომხრეებს. ეს ერთი, ახლა მეორე – როდესაც კიტოვანმა სიგუამ და იოსელიანმა რუსთაველის პროსპექტი დაანგრიეს და გამსახურდია გააძევეს, მოსკოვიდან ჩამობრძანდა „თეთრი მელა“. სწორედ მაშინ შეიქმნა რუსთაველის პროსპექტის აღდგენის ფონდი, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა ბუბა კიკაბიძე. ტელევიზორში ყოველდღე უჩვენებდნენ, როგორ დადგა რიგები და ქალები როგორ იხსნიდნენ სამკაულებს ფონდში ჩასაბარებლად. მე ერთი თვის შემდეგ მივედი კინოს სახლში, იქ იყო ოფისი.მეორე სართულზე ექვსი ადამიანი იჯდა და იღებდა შემოწირულობებს. დაახლოებით 15 წუთი ვიდექი რიგში, ჩავაბარე 2 ათასი მანეთი. იწერდნენ სახელს, გვარს, მამის სახელს და მისამართს. დღესაც მაქვს ბუბა კიკაბიძის მიერ ხელმოწერილი ბარათი. მოლარეებს „მეშოკები“ ედგათ და შიგ ყრიდნენ ცალკე სამკაულებს, ცალკე ფულს. რამდენიმე თვეში დასრულდა კამპანია, ვისაც რა გააჩნდა, შესწირა სამშობლოს, მაგრამ სინამდვილეში კიკაბიძეს. ასეულ ათასობით მანეთი და ძვირფასეულობა მოათავსეს ფონდის საწყობში. ბუბა კიკაბიძემ დაიქირავა თვითმფრინავი, ჩატვირთა ეს ყველაფერი და გადაფრინდა მოსკოვში, სადაც პრესტიჟულ ადგილებში შეიძინა რესტორნები. მას ერთი აგურიც არ უყიდია რუსთაველის პროსპექტის აღსადგენად. ის წლების განმავლობაში, ყოველთვიურად 5 ათას ლარს იღებდა ბიძინა ივანიშვილისგან. შეიძლება ეს იცით, მაგრამ მაინც შეახსენეთ საზოგადოებას, ვისთან აქვს საქმე“.

ვინ ბრძანდებით-მეთქი? — ვკითხე წერილის ავტორს. სხვათა შორის, ჩვენ ბევრი საერთო ნაცნობი გვყავსო. ჩამომითვალა. თქვენ მათთან მუშაობთ-მეთქი? გაეცინა, ისინი მუშაობენ ჩემთან, მე ხელმძღვანელი ვარო. პირი დავალე, ერთ-ერთი მაგარი ობიექტი დამისახელა. სამწუხაროდ, არ შემიძლია ამ ადამიანის ვინაობის გამხელა, უკვე გარდაცვლილია. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თავის დროზე სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობდა, თანაც მაღალ თანამდებობებზე და არაერთი სკანდალური საქმე აქვს გახსნილი. წასვლისას მითხრა, მე ისეთ ასაკში ვარ, აღარაფერი მჭირდება, მაგრამ ვერ ვიტან, როცა ასეთი არაკაცები „ბლატაობენო“.

ბუბა კიკაბიძე 1938 წელს არის დაბადებული. ამას წინებზე „ნაცები“ იცინოდნენ, „ქართულმა ოცნებამ“ სიაში სპორტსმენები ჩასვა, მაგათ რა კანონები უნდა დაწერონო? ახლა მაინტერესებს, ბუბა კიკაბიძემ რა კანონები უნდა დაწეროს? გეტყვით, რაც მოხდება: პირველ დღეს გამოცხადდება პარლამენტში, ჰიმნს რომ დაუკრავენ, ფეხზე ადგება, გულის ფიცარზე მჯიღს დაიცემს, მერე იტყვის, ფისი მინდა, მეძინებაო და წავა სახლში.





გადავიდეთ ისევ სიაზე, იქნებ აღმოვაჩინოთ ვინმე ისეთი, რომელთან ერთადაც დროის ახალ ათვლას დავიწყებთ. აი, მაგალითად, მე-60 გახლავთ მეგი გოცირიძე, რომელიც მიშა სააკაშვილის ნაფეხურებს ლოკავს. ის ძალიან ბედნიერია და წერს:

„აუცილებლად შევალ პარლამენტში და თქვენს იმედებს გავამართლებ! მადლობა მხარდაჭერისთვის, სიყვარულისთვის, ნდობისთვის. მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს, თავისუფლების ხარისხი შემეზღუდება“.



ჯერ ერთი, ის ადამიანი არ დაბადებულა, ვინც მას თავისუფლების ხარისხს შეუზღუდავს (აქ უნდა გაიცინოთ) და მეორეც, როცა მისი დაქალები პირდაპირ პარლამენტში ფსამენ და უცნაურ სუნს აყენებენ, მაგას ვინღა დაუშლის? მე უბრალოდ გული იმაზე მწყდება, რომ ვალერი გელბახიანი საერთოდ არ ჩასვეს სიაში, მიხამ კი ჩაიყვანა კიევში ძუნძულით, მაგრამ მაინც არ ენდო, უფრო სწორად, დაადო.

ამასობაში კი ქალბატონი ბურჯანაძე იჭაჭება, ჩემი ძალა და გამოცდილება აირჩიეთო. რა ძალა აქვს, არ ვიცი, ამის თაობაზე არაფერი მსმენია, მაგრამ გამყიდველობის გამოცდილება რომ აქვს, ვნახეთ — ჯერ მამამისის ძმაკაცი ედუარდ შევარდნაძე გადააგდო, მერე თავისი ძმაკაცი სააკაშვილი განაგდო, ბიძინა ივანიშვილის „სასტავში“ შეძრომას ცდილობდა, არ გამოუვიდა, ახლა ისევ სააკაშვილს შეუკუნკურდა და ასე ცდილობს დაკარგული გავლენის აღდგენას. აი, ესაა მისი გამოცდილება... და კიდევ ის, რომ 2011 წლის 26 მაისის ღამეს ხალხი რომ შეაწყვიტა ჯალათებს, წავიდა და იმ ჯალათებთან წამოსკუპდა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებში უმრავლესობით გაიმარჯვებს

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი და საზოგადო მოღვაწე ნიკუშა შენგელაია:*

**— ბატონო ნიკუშა, 1 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ მმართველობიდან რვა წელი გავიდა. როგორ შეაფასებთ, განვლილ პერიოდს?**

— „ქართულმა ოცნებამ“ სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობის შემდეგ, რაც „ნაცმოძრაობის“ დროს სუფევდა, მთავარ პრიორიტეტად ადამიანზე ზრუნვა დაისახა. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა დარგების გაძლიერება დაიწყო. მოგეხსენებათ, მიშას პერიოდში ძალიან ბევრი ადამიანი გაჭირვებული, რეჟიმისგან დაზარალებული გახლდათ, უამრავ მათგანს ჩამოართვეს ქონება. გარ-



და ამისა, ხალხი საავადმყოფოში ვერ მიდიოდა, რათა ელემენტარული სამედიცინო სერვისით ესარგებლა. ახალი ხელისუფლების მთავრობამ სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკა აირჩია — ადამიანებს საშუალება მისცა ჯანმრთელობაზე ეზრუნათ, სოციალური ბიუჯეტი გაიზარდა. ასე, რომ საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა. რა თქმა უნდა, დასაწყისში იყო ინფორმაციის, პიარის პრობლემა რასაც ბევრი საკუთარ თავზე გრძნობდა. სხვათა შორის, ბოლო დროს, ეს პრობლემა, გამოსწორდა. ქვეყნის აღმშენებლობას რაც შეეხება, საუბარს საგარეო პოლიტიკით დავიწყებ. ოპონენტებმა უცნაური მეთოდი აირჩიეს: საკუთარ შეცდომებს ხელისუფლებას აბრალებდნენ — გაიძახოდნენ: „ქართული ოცნება“ ანტიდასავლურ პოლიტიკას ახორციელებსო. ეს ბრალდება, აბსოლუტურად, არაფერს ეფუძნებოდა. არადა, რეალობა სულ სხვაა. ჩვენ, კარგად დავინახეთ, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს, პირველ რიგში, ევროატლანტიკურ კავშირთან, დასავლეთთან გაძლიერდა ურთიერთობა. სწორედ, „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს დაწესდა უვიზო რეჟიმი, ვაჭრობის თავისუფალი ხელშეკრულება ევროპასთან, გაძლიერდა ამერიკასთან, ნატოსთან სამხედრო ურთიერთობები. საქართველოში ნატოს ეგიდით არაერთი სამხედრო წვრთნა ჩატარდა. ასე, რომ „ქართული ოცნება“ საგარეო პოლიტიკაში, აბსოლუტურად, დასავლეთზე ორიენტირებულ პოლიტიკას აწარმოებდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ურთულეს რეგიონში ვცხოვრობთ, რომელიც მყარი არ არის, ვგულისხმობ, სამეზობლოს, ჩრდილოელი მეზობლის ინტერესებს და ა.შ. ამ პირობებში მშვიდობის შენარჩუნება ადვილი ნამდვილად არ არის იმიტომ, რომ საქართველოს მიმართ ძალიან დიდი ინტერესებია, ჩვენ, ფაქტობრივად, დანის პირზე დავდივართ. ბიძინა ივანიშვილმა და მისმა გუნდმა შეძლო ის, რომ დღესდღეობით ქვეყანაში მშვიდობაა. ეს ძალიან დასაფასებელია იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაშიც დღეს, რეალურად, ვარსებობთ. პირადად, მე, ძალიან ბევრს ვმოგზაურობ საქართველოს სხვადასხვა მხარეში და ვხედავ, როგორი ინფრასტრუქტურული აღმშენებლობა მიდის მიუხედავად მცირე ბიუჯეტისა, რთული — პანდემიური პერიოდისა. კორონა ვირუსის გამო მთელს მსოფლიოში ეკონომიკა შემცირებულია, რთულად მოიპოვება რესურსები, ძნელად ვითარდება ბიზნესი და ა.შ. ასევე, მძიმე ვითარებაა ხალხის დასაქმების კუთხით, ადამიანები სამსახურს კარგავენ. საქართველო, მეტ-ნაკლებად, ეფექტურად გაუმკლავდა ამ ყველაფერს ხელისუფლების კარგი მუშაობისა და რა თქმა უნდა, ჩვენი მოქალაქეების კულტურული შეგნების გამო. ამ რეალობიდან გამომდინარე რაშიც ვარსებობთ, „ქართული ოცნების“ რვაწლიანი მოღვაწეობა შეიძლება დადებითად შეფასდეს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ „ქართულ ოცნებას“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ალტერნატივა არ ჰყავს. სამწუხაროდ, ჩვენ, კვალიფიციური ოპოზიცია არ გვყავს. საერთოდ, ოპოზიცია არ გვყავს. ამ ადამიანებმა თავისი დრო, უკვე, მოჭამეს. ის სტილისტიკა რითაც „ნაცმოძრაობა“ და ზოგადად, ოპოზიცია მოქმედებს, აბსოლუტურად, აცდენილია ხალხის განწყობას და ქვეყნის რეალურ ვითარებას. ოპოზიცია ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობს და ჰგონია, რომ ბიძინა ივანიშვილის ლანძღვით ხმებს მოიპოვებს. ეს, ხომ გამორიცხულია. ამიტომ ვთვლი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ წესით, ეს არჩევნები უმრავლესობით უნდა მოიგოს.

**— ბიძინა ივანიშვილმა ისაუბრა: „ნაცები“ დამნაშავეები, ქვეყნის მოღალატეები არიანო. ეს ხომ უკვე რვა წელია ვიცით. ისინი სათანადოდ რატომ არ დავსაჯეთ. დღეს, ეს ხალხი არჩევნებში მონაწილეობს, როცა მათი ადგილი სინამდვილეში ციხეშია?**

— მეც მგონია, რომ „ნაციონალების“ ადგილი სრულიად სხვაგან არის და არა პოლიტიკურ სკამებზე და ტრიბუნებთან. ხალხს მართლა ყელში აქვს ამოსული. მათი ყურება, უკვე, შეუძლებელია. რა უნდა ვქნათ? — როგორც კი ფაქტებზე დაყრდნობით, მათ წინააღმდეგ, სამართლებრივ პროცესს ვიწყებთ, დასავლეთიდან, კონგრესიდან და ა.შ. მაშინვე წერილების გზავნა იწყება და იძულებული ვართ ჩვენს პარტნიორებს, ევროკავშირს, ამერიკას ანგარიში გავუწიოთ. ეს არ არის ადვილი პროცესი. ჩემი აზრით, ნელ-ნელა, თავად ხალხმა უნდა უთხრას უარი „ნაცმოძრაობას“ და გაიაზროს, რომ ეს ძალა ხელისუფლებაში ვერასდროს დაბრუნდება. ისინი პოლიტიკური ლეშები არიან.

**— თქვენ ამბობთ: დემოკრატია „გვაიძულებს“ ასე მოვიქცეთო. დასავლელი პარტნიორები გვეუბნებიან: დემოკრატია გადაარჩინეთო, მაგრამ დამნაშავეს რომ არ დაიჭერ, განა ეს არის დემოკრატიის გადარჩენა?**

— რა თქმა უნდა, ეს არ არის დემოკრატიის გადარჩენა და ვინც ხელისუფლებაში იყო ინდულგენცია არავის აქვს. ჩვეულებრივი მოქალაქე რომ დააშავებს და ისჯება, ბიუჯეტის ქურდი რატომ არ უნდა დაისაჯოს ანუ, ის პირები ვისაც მიშას დროს თანამდებობები ეკავათ, პოლიტიკური ფიგურები იყვნენ და ბრალი უმტკიცდებათ?! ეს რა სამართლიანობაა და რა დემოკრატიაა?! ამიტომ ვამბობ: დემოკრატიაში ყოველთვის სამართლებრივი სივრცე უნდა იყოს მყარი, თორემ, სხვა მხრივ, თუ



ქვეყანაში სამართალი არ არის, სასამართლო თავის სიმაღლეზე არ დგას, დემოკრატია ბაზარს, ბარდაკს ემსგავსება.

**— „ნაცებმა“ მშვენივრად იციან, რომ ვერ გაიმარჯვებენ და პროვოკაციებს მიმართავენ...**

— რა თქმა უნდა, აბა, გამოკითხვებით ვინც ამომრჩეველის ლიდერია, მას ძალადობა რაში სჭირდება, ეს ხომ ელემენტარული ლოგიკაა. ყველამ იცის, რომ ამ პროვოკაციებს „ნაცმოძრაობა“ აწყობს. ისინი წარსულში ჩარჩნენ, ისევ ჰგონიათ, რომ თუ ხალხს დაჩაგრულად მოაჩვენებენ თავს, ამით მათ განწყობას მოიპოვებენ. 2003 წელში არიან ჩარჩენილები, არც ფანტაზია ჰყოფნით, არც ნიჭი, არც გონიერება, არც შეფასების უნარი და არც იმის აღიარების, რომ პოლიტიკურ სივრცეში დამთავრებულნი არიან. ისინი არარეალიზებული ხალხია და პროვოკაციებით არსებობენ.

**— „ნაცები“ 1 ნოემბრისთვის ემზადებიან. დაიწყებენ საუბარს ხარვეზებზე, გაყალბებებზე, თითქოს, პროცესი ზეწოლით მიმდინარეობდა და ა.შ.**

— „ნაცები“ რას გეგმავენ, საინტერესო არ არის. არჩევნები სამართლიანად უნდა ჩატარდეს და რასაც ეუთო იტყვის, ისე იქნება. „ნაციონალები“ ნებისმიერ რამეს კუდს გამოაბამენ, ნებისმიერ ტყუილს იკადრებენ. რაში სჭირდება ხელისუფლებას ან არჩევნების გაყალბება, ან ძალადობა, ან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, როცა მოსახლეობის 60% ისედაც მას აძლევს ხმას. „ქართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის პროცენტულად იმხელა სხვაობაა, რომ გაყალბებაზე საუბარი ვერც იქნება.

**— ბევრს საუბრობენ კოალიციური მთავრობის შექმნაზე, ოპოზიცია უკვე პორტფელებსაც ინაწილებს, პრემიერებიც დანიშნეს.**

— ეს ყველაფერი სასაცილოა. რა პორტფელებს ინაწილებენ, თუ უმრავლესობაში ვერ მოვიდნენ?! „ქართულ ოცნებას“ კოალიციური მმართველობა არ სჭირდება. იგი ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვა.

დღევანდელი შემადგენლობით, საქართველოში, კოალიციური მთავრობა ვერ შედგება. ეს მოხდება მაშინ, როცა ქვეყანაში ნორმალური ოპოზიცია გვეყოლება. ოდესმე, ალბათ, ასეც იქნება. ოპოზიცია ხელისუფლებასთან ქვეყნის განვითარების თემებზე უნდა ოპონირებდეს და ჰქონდეს, აბსოლუტურად, კონსტრუქციული დიალოგი, უკეთესი ხედვები და არა ლანძღვა-გინება, რასაც „ნაცები“ და მისი მიმდევრები აკეთებენ. თქვენ, როგორ წარმოგიდგენიათ, პარლამენტში „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ კოალიცია?! ისინი ხომ ვერასდროს აირჩევენ მთავრობას, იქნება სტაგნაცია და ამ რთულ ვითარებაში ქვეყანას, ეკონომიკას საფრთხე დაემუქრება. ეს გამორიცხულია.

**— სააკაშვილი ბობოქრობს, გამოაცხადა: არავითარი კოალი-**



# ნაცმოძრაობა – მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ს.გ“ N30)

მიხეილ მაოხრებლის განცხადებით, პარტია “ნაციონალურ მოძრაობას” 31 ოქტომბრის არჩევნებში ორმოციდან, ორმოცდაათ პროცენტამდე მხარდაჭერისა და „ივანიშვილის ერთპიროვნულად დამარცხების“ რეალური შანსი აქვს. ცხვრისტყავმოსხმული კრიმინალი, უშედეგოდ ცდილობს (მეასიათასჯერ!) დაგვარწმუნოს, როგორი პატრიოტი იყო, როგორ ზრუნავდა ხალხზე, როგორ არ ეძინა საქართველოს სიკეთეზე ფიქრში, როგორ წყლულად აჩნდა ერის წყლული, ისრებით დაკორტნილ წამებულ სხეულზე... მაგრამ რა ვუყოთ იმ რეალობას, რაც მისმა „თავგადაკლულმა პატრიოტობამ“ მოიტანა? ვინ დაგვიბრუნებს მის მიერ დაკარგულ ტერიტორიებს? ვინ გააცოცხლებს მის მიერ ჩახოცილ ახალგაზრდებს, თუ მისი უთავობით, უტვინობით, დაღუპულ ჯარისკაცებს? ვინ აუნაზღაურებს ათეულათასობით მოქალაქეს მიყენებულ ზარალს თუ ციხეში უსამართლოდ გატარებულ წლებს? როდის დააბრუნებს ის და მისი ნაცბანდა იმ სახელმწიფო სიმდიდრეს, რაც უხვად გაყიდეს, ჩაიჯიბეს და მიითვისეს, დაწყებული ტყეებიდან და სახნავ-სათესი მიწებიდან და დამთავრებული – საავადმყოფოებით, საბავშვო ბაღებით, სკოლებით, ბიბლიოთეკებით და მუზეუმებით? როგორ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც დამპალი ფიცრის მოპარვისთვის პენსიონერ ლტოლვილს ერთ წელ ციხეს უსჯიდა, ხოლო თავად მილიონებს და მილიარდებს იპარავდა და ახლა კი პოლიტიკური სარჩულით საკუთარი დაუსჯელობის დაკანონებას ცდილობს, ამავე დროს ლტოლვილად აქცევდა ათასობით და ათეულათასობით საქართველოს მოქალაქეს, ხოლო აქ საცხოვრებლად ეპატიჟებოდა ირანელებს, ჩინელებს, ინდოელებს, ბურებს და მათთვის ქართული მიწის ფასს ორმოცჯერ უფრო დაბლა სწევდა, ვიდრე თავად ქართველებისათვის, იმისათვის, რომ საქართველო სინგაპურად ექცია, მათი და მათი შვილების მიერ სამუდამოდ მართულ სინგაპურად?! რა ისწავლა ახალგაზრდობამ მიხეილ სააკაშვილისაგან, თუ არა უტიფრობა, უნამუსობა, ღალატი, სულმდაბლობა, უზნეობა და ავზნეობა?! არჩევნებისწინა მურაბა დაპირებების შემდეგ საზოგადოების ლამის ნებისმიერი ფენის მკვეთრი და არნახული შევიწროება, დამცირება, დაშინება და უფლებრივი თუ ქონებრივი დისკრიმინაციის გამწვავება – ლტოლვილების არაადამიანური და დამამცირებელი გასახლება, გარემოვაჭრეების ასევე არაადამიანური აყრა (არჩევნების წინ მიცემული დაპირების შემდეგ), მონოპოლიზირებული პროდუქტების მკვეთრი გაძვირება, და განსაკუთრებით,







ხორცის გადამუშავების საკუთარ ხელში მონოპოლიზებით ამ სფეროდან მრავალი კონკურენტის გაგდება, საავადმყოფოების მასიური გაყიდვა და პერსონალის შემცირება, ექიმების დაჭერები, უცხოელი ეგრეთ წოდებული „მასწავლებლების“ (სინამდვილეში – არაკვალიფიცირებული და არასერტიფიცირებული მოხალისეების, ზოგჯერ სულაც საეჭვო „ღირსებების“ მქონე პიროვნებების) მასიური ჩამოყვანა (საშუალოდ თითო მასწავლებელზე წელიწადში 10,000 ლარის ხარჯვით) და ამის ფონზე ადგილობრივი მასწავლებლების მასიური სამუშაოდან უმიზეზოდ დათხოვნა, მოსწავლეებისთვის ადრე გამოუცხადებელი საატესტატო გამოცდების მოულოდნელი დანიშვნა და „ოროსნების რევოლუციის“ შაშკინისგან იგნორირების ბრავადული დაპირება, ბიზნესისთვის შეპირებული პრეფერენციების „აორთქლება“ და საშუალო და უკვე წვრილ ბიზნესზე უზნეო, უკანონო მეთოდებით ზეწოლა და ბეგარის შეწერა, ყვითელი ავტობუსების მოულოდნელი გაუქმება და მგზავრების და მძღოლების ინტერესების პრობლემების ჩირად არ ჩაგდება, სამარშრუტო ხაზების მითვისების გეგმის დასახვა და შემდეგ თავის მიერვე დასამარებული ტრამვაის უცებ „შეყვარება“, შედარებით შეძლებული ჯიპ/ვიპ-მფლობელების, კაზინოების მეპატრონეების და სხვა პოტენციური „თავისიანების“ გამოწურვაც...„დამხობამდე“ მიხეილ დამარცხებული, გამიზნულად ამწვავებდა ურთიერთობებს დასავლელ ლიდერებთან. კერძოდ იმით, რომ ახდენდა დემონსტრაციულ დაახლოებას ირანთან, ამ ქვეყანასთან დააწესა უვიზო რეჟიმი, სიხარულით გვამცნობდა, რომ ათასობით ირანელი სტუმარი ჩამოვიდოდა უახლოეს ხანებში, გახსნა ირანის საკონსულო ბათუმში, და რაც მთავარია, იწონებდა ირანის ატომური ენერგეტიკის პროგრამას და ამ პროგრამის საკითხებში ბრაზილიის და თურქეთის (დასავლურისაგან განსხვავებულ) მიდგომას. და ეს იმ ფონზე, როცა ირანსა და დასავლეთს შორის დაძაბულობა პიკს აღწევდა და მისი „პატრონი“ რუსეთიც კი იძულებული გახდა ირანთან მრავალმილიარდიანი თანამშრომლობა შეეკვეცა. ამის ყველაფრის დემონსტრირებით, თანაც ამერიკის კონგრესის არჩევნებში დემოკრატიული პარტიის წარუმატებლობიდან რამდენიმე დღეში, სააკაშვილმა ხელთათმანი ესროლა ობამას და ამაყად მიანიშნა, რომ მისი პერსონისთვის დროის და ყურადღების არდათმობა ამერიკელ ლიდერს „ძვირად დაუჯდებოდა“. ამავე კონტექსტში ჯდება ევროპელ ლიდერებისადმი (სარკოზი, ბერლუსკონი) მის მიერ გაკეთებული ცინიკური განცხადებები. მარტო მისი ის განცხადება რად ღირდა, რომ ბერლუსკონის და პუტინს „ძალიან ახლო, ლამის ინტიმური ურთიერთობები აკავშირებთ“-ო! ასევე, მწვავე ურთიერთობები ჰქონდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ევროპის საბჭოს, ვენეციის კომისიის, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ეუთოს და მისი არჩევნების მონიტორინგის განყოფილების, ტრანსპარენსი ინტერნეშენალ, ჰუმან რაითს უოთჩ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების იგნორირება და იმის განცხადება, რომ „ჩვენ ყველას მოვუსმენთ, მაგრამ თავად ვიცით, რა სჯობს“ ხელისუფლების ახალ ტაქტიკად იქცა, რომელიც ფორმით ნამდვილად სჯობდა შიდა ოპოზიციასთან მიმართებაში ღიად დეკლარირებულ ცინიკურ ლოზუნგს „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის!“, მაგრამ შინაარსით დიდად განსხვავებულიც არ იყო. უცხოური ორგანიზაციების მხრიდან ხელისუფლების ქმედებების გაშიფვრით მზარდი იმედგაცრუების ფონზე მეტწილად ქართული საზოგადოების მასიური



10 გვ. →

**ცია, მე, მოვდივარ უმრავლესობითო. რისთვის ემზადება იგი?**

— იცით, როგორ არ მაინტერესებს. რამდენი წელია ხან ზღვით მოდის, ხან მატარებლით, ხან გვირაბით. აბსოლუტურად არ მაინტერესებს სააკაშვილი — ეს თვითგანდიდების მანიით შეპყრობილი პიროვნება. მას ძალა არ აქვს. კი ბატონო, ჩამოვიდეს და ქართველ ხალხს პასუხი გასცეს. რამდენი წელია ქართული პასპორტი გადააგდო, სასამართლოს პასუხს არ სცემს და კიდევ იქედან იმუქრება. კარგით რა, ამას სერიოზულად როგორ უნდა შევხედოთ.

**— სოციოლოგიურ კვლევებზე რას ფიქრობთ, ხშირად, ერთიდაიმავე დროს ჩატარებული კვლევები ერთმანეთს არ ემთხვევა, რა არის ამის მიზეზი?**

— გააჩნია მეთოდიკას, რამდენ ადამიანს გამოკითხავ, ვინ აკეთებს საველე სამუშაოებს, რა პოლიტიკური ინტერესებია ამ კვლევითი ინსტიტუტების უკან და ა.შ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ოპოზიციის მიერ შეკვეთილი არცერთი კვლევა არჩევნების შედეგებთან მიახლოებულიც კი არ იყო. ხომ ვნახეთ, ეს ყველაფერი. გახსოვთ, 2016, ასევე, 2012 წლის არჩევნები, როცა კვლევის შედეგები 20–30%-ის ცდომილებითაც კი იყო ჩატარებული. ხალხი ამ კვლევებს სერიოზულად არ უყურებს. ამ კვლევებს ის ინსტიტუტები აფინანსებენ, რომლებიც მიახლოებითაც კი ვერ აკეთებენ პროგნოზს. გამოდის, ან ცუდად მუშაობენ, ან ამის უკან ინტერესთა სფეროა, რაც არჩევნების შემდეგ ძალიან მარტივად იშიფრება.

**— რაც შეეხება გადაუწყვეტელ ამომრჩეველს, იგი, ვისკენ იხრება?**

— გადაუწყვეტელი ამომრჩეველი, რომ „ნაცმოძრაობისა“ და ოპოზიციისკენ არ გადაიხრება, ეს ხომ ფაქტია. თუ ხალხს „ქართული ოცნებისგან“ რაღაც არ მოსწონთ, კი ბატონო, ეს მათი ნებაა და შეუძლიათ თავი შეიკავონ. მათ შემდეგს ვურჩევდი: ახლა, რთული პერიოდია. ჩვენ ვისაუბრეთ: როგორ გავაგდოთ პოლიტიკიდან ეს უზნეო ხალხი. სწორედ, ამის გამო უნდა მიიღოს მოსახლეობამ გადაწყვეტილება, მივიდნენ არჩევნებზე და საკუთარი აზრი დააფიქსირონ. იმიტომ, რომ რაც მეტი ადამიანი, მივა არჩევნებზე, მით უკეთესია. დაკარგული ხმა არ არის კარგი იმიტომ, რომ ეს პროცესს გამოთიშული მოქალაქეა. მეორეც, დაიკარგება ამომრჩეველი, რომელიც ჩვენი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, უნდა გაანალიზონ, დაფიქრდნენ, გარემო შეაფასონ და მიიღონ გადაწყვეტილება.

**— რას ფიქრობთ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაზე?**

— ამ სიიდან ბევრს არ ვიცნობ, მაგრამ თავისი ბიოგრაფიით კვალიფიციური, კარგი ახალგაზრდებიც არიან, საშუალო ასაკის ხალხიც არის, გამოცდილიც, რეგიონებში ადგილობრივი მაცხოვრებლები არიან, ვინც იქაური პრობლემები კარგად იციან და იქ აქვთ ჭიპი მოჭრილი. მე, რამოდენიმე ადამიანს ვიცნობ. ვნახოთ როგორ გაართმევენ თავს.

— ყველაფერი ქართველ ხალხზეა დამოკიდებული — ვისაც აირჩევს ის იქნება ქვეყნის სათავეში. მე არ მომისმენია დასავლეთს ეთქვას: ისეთი არჩევნები ჩაატარეთ, როგორიც ოპოზიციას უნდაო. დასავლეთი ითხოვდა სამართლიან, ღირსეულ არჩევნებს. არც ის უთქვამთ: მესამედ არ წახვიდეთ არჩევნებზეო. ეს ხომ ძალიან არაკვალიფიციური განცხადებაა, ამას რომელი პოლიტიკოსი გააკეთებდა. მესამედ კი არა, როცა საპარლამენტო რესპუბლიკა ხარ და პროპორციული არჩევნები გაქვს, ხალხი თუ აგირჩევს მეათედაც მოხვალ ხელისუფლებაში. ვის აქვს უფლება ეს პროცესი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს?

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# მჯერა, ჩვენი ხალხი თავის არჩევანს იმ ძალის სასარგებლოდ გააკეთებს, რომელსაც სწორი გზით წინ მიჰყავს ქვეყანა

## ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ანგარიშის და საარჩევნო პროგრამის წარდგენის დღეს (ფრაგმენტები)



მოგესალმებით ყველას,

დღეს პირველი ოქტომბერია, დღე, რომელიც უკვე ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც ქართველი ხალხის ერთობის, თავისუფლებისა და გამარჯვების სიმბოლო. 2012-ში, ჩვენ გადარჩენისთვის ვიბრძოდით, შიშისგან, ჩაგვრისა და ძალადობისგან უნდა გვეხსნა ხალხი, და ქვეყანა.

დღეს, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან 8 წლის თავზე, ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც თავისუფლებას ბრძოლით მოპოვება აღარ სჭირდება, სადაც განსხვავებული პოლიტიკური გემოვნების გამო, ადამიანებს აღარ დევნიან, სადაც ხელისუფლების შიში და ძალმომრეობა, სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა, სადაც სახელმწიფო ადამიანისთვის არსებობს, და არა პირიქით.

დღეს, ჩვენი პარტია — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, ხალხს სთავაზობს პროგრამას, რომელმაც შეუქცევადი უნდა გახადოს, ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, უზრუნველყოს ეკონომიკური წინსვლა, და მნიშვნელოვნად შეცვალოს უკეთესობისკენ თითოეული ჩვენი მოქალაქის ცხოვრება.

პროგრამას, დღეს „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერები, ჩემი ახალგაზარდა კოლეგები წარმოგიდგენენ. მე კი, თავს ვალდებულად მივიჩნევ, ერთგვარი ანგარიში ჩავაბარო ჩემს ხალხს, და ვაჩვენო, სად ვიყავით 8 წლის წინ, როდესაც ხელისუფლება გადავიბარეთ, და სად ვართ ახლა.

რამდენადაც არასასიამოვნო მოსასმენი უნდა იყოს, ჩვენ უდავოდ ვალდებული ვართ ობიექტურად შევაფასოთ და, არა მარტო ჩვენს ხალხს, არამედ მთელ მსოფლიოს, საქართველოს ყველა მოკავშირესა და მეგობარს, კიდევ ერთხელ, პირუთვნელად და მიუკერძოებლად შევახსენოთ, როგორი დესპოტური და კაცთმოძულე ხელისუფლების პირობებში მოუწია ქართულ საზოგადოებას ცხოვრება, 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე, რა მემკვიდრეობა ჩავიბარეთ წინა ხელისფულებისაგან, და რისი გაკეთება შევძელით განვლილი ურთულესი წლების განმავლობაში.

მტკიცედ მჯერა, რომ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, უამრავ დამპყრობელთან შეუდრეკელი ბრძოლის შედეგად გამომუშავებულმა გენეტიკურმა გამძლეობამ, შეაძლებინა ჩვენს უშიშარ ხალხს, გაერთიანებულიყო, და “ქართულ ოცნებასთან” ერთად, დაემარცხებინა რეჟიმი, რომელიც მომხდურ მტერზე არანაკლებ დაუნდობლად, და სასტიკად ექცეოდა საკუთარ საზოგადოებას.

მართლაც საოცარი ცინიზმია, როდესაც, მრავალი სიმხეცის ჩადენით გადაგვარებული, მაგრამ იმავდროულად, საკმაოდ ცბიერი პოლიტიკური გუნდი, აბსოლუტურად უცვლელი შემადგენლობით, მოურიდებლად ცდილობს კვლავაც მოატყუოს ხალხი, და დაიბრუნოს შეუზღუდავი ძალუფლება, რათა ახლა უკვე გაორმაგებული ძალისხმევით, პერსონალურად იძიოს შური ყველა იმ პატრიოტ ადამიანზე, ვინც 2012 წლის ოქტომბერში, თავისი წვლილი შეიტანა მათი ძალადობრივი მმართველობის დასრულებაში.

გასული კვირების განმავლობაში, ჩვენ მოვისმინეთ ცრუ სინანულისა და თეატრალური თვალთმაქცობის სამარცხვინო მაგალითები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მათ, სინამდვილეში, ძალიან დაბალი წარმოდგენა აქვთ ქართულ საზოგადოებაზე, და ფიქრობენ, რომ მარტივად და იოლად მოახერხებენ ხალხის ემოციებით და გრძნობებით მანიპულირებას.

სწორედ ამიტომ, ფუნდამენტურად წარმოუდგენელია ჩვენი ხალხის, მისი კულტურის, ტრადიციების, მსოფლმხედველობისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის თანაარსებობა.

ჩვენი მეხსიერებიდან ვერავინ წაშლის უამრავი უდანაშაულოდ მოკლული ახალგაზრდის, და დემონსტრაციულად დახვრეტილი ადამიანების სახეებს.

ჩვენ არასდროს დაგვავიწყდება წლები, როდესაც ადამიანების ღირსების ფეხქვეშ გათელვა, მათი აბუჩად აგდება, დაშინება, უსაფუძვლოდ ციხეებში გამოკეტვა, ულმობელი წამება და დასახიჩრება, ბიზნესის დაწიოკება და საკუთრების წართმევა, ცხოვრების ჩვეულებრივი, ნორმად ქცეული მოვლენა იყო.

ჩვენ ყოველთვის გვემახსოვრება, ქართული ტრადიციული ცხოვრების წესის გაუკუღმართების, ჩვენი კულტურული თვითმყოფადობის წაშლისა და საქართველოს ისტორიის თავიდან გადაწერის ავადმყოფური წყურვილი, ოჯახის ფენომენზე გაავთრებული იერიშის, ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი საყრდენის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შევიწროებისა და დაქსაქსვის გამუდმებული მცდელობები.

ჩვენ ყველას გვახსოვს, ბედის ანაბარად მიტოვებული ქართული სოფელი.

დავიწყებას ვერ მიეცემა დრო, როდესაც სახელმწიფოს არ გააჩნდა არანაირი თანაგრძნობა, და სოციალური სოლიდარობა საკუთარი ხალხისადმი, დრო, როდესაც მოქალაქეების უმეტესი ნაწილი იძულებული იყო, უკანასკნელი საოჯახო ნივთებიც კი გაეყიდა მკურნალობისთვის — როდესაც მეტ-ნაკლებად მძიმე სამედიცინო დიაგნოზი, პრაქტიკულად, სასიკვდილო განაჩენს უდრიდა.

ჩვენ არასდროს დაგვავიწყდება ხელისუფლების ბოროტი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი, ნოტარიუსად ქცეული, და დაჩოქებული სასამართლო, ნამდვილი სამართლებრივი წყვდიადი, გაუქმებული მართლმსაჯულება, და გაუქმებული ადვოკატის პროფესია, ტერორში მყოფი პოლიტიკური ოპოზიცია, უხეშად გაყალბებული არჩევნები, დემოკრატიული კონტროლისა და სახელისუფლებო ბალანსის არმქონე, დამახინჯებული კონსტიტუცია, ერთი კაცის ვნებებისა და სურვილების შესაბამისად განაწილებული საბიუჯეტო სახსრები; მიტაცებული, უსიცოცხლო და გარინდებული მედია, პირადი ცხოვრების გამჟღავნების უწყვეტი მუქარები და შანტაჟი, უკანონოდ დაპატიმრებული ჟურნალისტები, შეურაცხყოფილი მწერლები, მსახიობები, მეცნიერები, სპორტსმენები, და ჩვენი საზოგადოების სხვა სასიქადულო და თვალსაჩინო წარმომადგენლები.

გვახსოვს ის ხელისუფლება, რომელმაც მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური ახლომხედველობის გამოისობით, თავიდან ვერ აიცილა სამხედრო ავანტიურა, და გაუაზრებელი მოქმედებებით, ქვეყანას ტერიტორიის ოცი პროცენტი დააკარგვინა, რამაც გაართულა ჩვენი ჩრდილო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი.

მეხსიერებიდან ვერასდროს ამოიშლება, ბრძოლის ველიდან ლაჩრულად გაქცეული მთავარსარდალი, და უპატრონოდ მიტოვებული ჩვენი გმირი ჯარისკაცების ცხედრები, საკუთარი სახლ-კარიდან გამოყრილი მოსახლეობა.

მსურს, ასევე შეგახსენოთ, იმდროინდელი სამართალდამცავი სისტემის უკიდურესი თვითნებობა, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში მათი არაპროპორციული და მავნებლური გავლენა, რამაც ბევრი ქართული ოჯახის პირადი ტრაგედია განაპირობა.

მინდა ჩვენს საამაყო მეწარმეებს, რომელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად იქმნება საქართველოს ეკონომიკა და დოვლათი, შევახსენო, რა მდგომარეობაში იყო ბიზნესი, და როგორ ეპყრობოდნენ თითოეულ მათგანს, საგანგებოდ შექმნილი სადამსჯელო სახელმწიფო ინსტიტუტები. ბიზნესისათვის, ის პერიოდი იყო, მართლაც ჯოჯოხეთი დედამიწაზე.

რეჟიმმა ქვეყანაში დაამკვიდრა, პირად გამდიდრებაზე ორიენტირებული, მანამდე არნახული, მძლავრი კორუფციული სისტემა, კლასიკური კლეპტოკრატია, როდესაც ხელისუფლებასთან უშუალოდ დაკავშირებული რამდენიმე მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში თავმოყრილი იყო, ეკონომიკის თითქმის ყველა შემოსავლიანი სექტორი. ვინც კი გაბედა, რაიმე ფორმით წინააღმდეგობა გაეწია ამ მანკიერი ფინანსური წესრიგისთვის, მყისიერად დააპატიმრეს, და იძულებით ჩამოართვეს ქონება.

ერთ დროს წარმატებული და აყვავებული, არაერთი ბიზნესი, უბრალოდ მოსპეს და გააჩანაგეს. ხალხის ძარცვით მიღებული ასეულობით მილიონი კი, ილექებოდა უცხოურ ბანკებში, მათ საგულდაგულოდ გადამალულ ანგარიშებზე. სწორედ ამ დანაშაულებრივი თანხებით, ფინანსდება მათი დღევანდელი პოლიტიკური აქტიურობა.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლების დაკარგვის დღიდან, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო ფიქრი რევანშზე.

მათ შეიმუშავეს მთელი კონცეფცია, რომლის მიხედვით, საკუთარი დანაშაულებრივი მმართველობის შედეგად ქვეყნისა და საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი, მოჩვენებითი აღმშენებლობის პროპაგანდით, და მათი ეგრეთ წოდებული ეფექტურობით უნდა გამართლებულიყო, ხოლო „ქართულ ოცნება“, წარმოჩენილიყო არაკომპეტენტურ, და არაფრისშემძლე ერთობად.

ასე დაიწურა მათი პროპაგანდისტური მოძღვრება, ერთ მარტივ ტერმინში — „უნიათობა“, რომელიც უნდა ქცეულიყო „ქართული ოცნების“ მთავარ მახასიათებლად, ზედსართავ სახელად, რათა მომხდარიყო მმართველი გუნდის დისკრედიტაცია.




მათ წლები მოანდომეს ამ ეპითეტის დამკვიდრებას. ამოცანა ცხადი და კონკრეტული იყო — რაკი ვერაფერი გაათეთრებდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარსულს, ამიტომ უნდა გაშავებულიყო „ქართული ოცნება“. ამ ორ ძალას შორის კი, ქართველ ხალხს, უნიათოს ნაცვლად, ეფექტური უნდა აერჩია.

სიცრუეში დახელოვნებულებმა, საკუთარი შანსი ჩვენს სიმართლეში დაინახეს: ჩვენ არ ვიტყუებოდით, და მათსავით, სამ-სამჯერ არ ვხსნიდით რომელიმე ხიდს თუ საწარმოს; წითელ ლენტს არ ვჭრიდით, თითო კილომეტრ დაგებულ გზაზე; არ ვპირდებოდით ხალხს მილიონიანი ქალაქების ორ წელიწადში აშენებას, და საუკუნის პროექტებს არ ვარქმევდით მათ; ვიწრო კოშკში ჩადგმულ საბავშვო ატრაქციონს, ტექნოლოგიურ უნივერსიტეტად არ ვასაღებდით; არ ვაშენებდით მოჩვენებით კეთილდღეობას. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვასწორებდით მათ გამრუდებულს, და ამიტომ შეგვრაცხეს უნიათოებად.

თუმცა, მათ გასაკვირად, სიცრუემ არ იმუშავა. გამჭრიახმა ქართველმა ხალხმა სატყუარა არ მიიღო, და ზედიზედ ხუთ არჩევნებში უარი უთხრა „ნაციონალურ მოძრაობას“, მართვის სადავეების დაბრუნებაზე.

პერმანენტული მარცხით გაწბილებულებმა და ხელმოცარულებმა, სხვა გზა რომ ვერ ნახეს, ბოროტად ისარგებლეს ხელისუფლების უნებლიე შეცდომის გამო აღელვებული ახალგაზრდობის გულწრფელი პროტესტით, და მათ ხარჯზე სცადეს ძალაუფლების არალეგიტიმური გზით დაბრუნება — საქართველოს პარლამენტზე მიიტანეს ძალადობრივი შტურმი.

სახელმწიფომ გაუძლო ამ გამოწვევას, და აღკვეთა ამბოხი, რასაც შედეგად, ჩვენდა სამწუხაროდ, ათეულობით დემონსტრანტის და სამართალდამცავის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა. იყო, სამწუხარო გადაცდომებიც, ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებასაც.

სწორედ ამ ფონზე შემოიტანა ნაციონალურმა პროპაგანდამ, ჩაფლავებული „უნიათობის“ პარალელურად, ტერმინი — „სისხლიანი რეჟიმი“ — დამნაშავემ მსხვერპლის მანტია მოირგო, და დიქტატურასა და ტირანიაზე ურცხვად ალაპარაკდა.

არც ამან იმუშავა. ხალხის მოტყუება კვლავ ვერ შეძლეს.

— პროგრესი იმდენად თვალსაჩინოა ყველა სფეროში, რომ სრულიად განიარაღებულებს თავად აღარ აწყობთ სტატისტიკაზე საუბარი, რად-

გან თვალს ვერ უსწორებენ ფაქტებს.

ჩვენ გავუსწოროთ:

მაშ ასე, — 2012 წლიდან დღემდე, მართლმსაჯულების სისტემაში:

ექვსჯერ გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა, და დავიწყებას მიეცა 99%-იანი გამამტყუნებელი განაჩენების ყოვლად სამარცხვინო პრაქტიკა;

თითქმის განახევრდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი;

160%-ით გაიზარდა არასაპატიმრო სასჯელის — ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი;

70%-ით შემცირდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რიცხვი;

35-ჯერ გაიზარდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სასჯელის ზომად გამოყენების მაჩვენებელი;

25 ათასით შემცირდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც საერთო სასამართლოების მიერ დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა;

სამჯერ შემცირდა ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი;

200-ჯერ გაიზარდა პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების დაკმაყოფილების მაჩვენებელი;

8-ჯერ შემცირდა საქართველოდან სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი სარჩელების რაოდენობა.

ეს მშრალი სტატისტიკაა, მხოლოდ ციფრები, და არა სუბიექტური ხედვა ან შეფასება.

ახლა ვნახოთ, დარჩა თუ არა შეუმჩნეველი ქართული სასამართლო სისტემის ასეთი საგრძნობი ტრანსფორმაცია, უმაღლესი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებს?

შედეგები, ამ მხრივ, მართლაც შთამბეჭდავია, კერძოდ:

ზედიზედ მეორე წელია, მსოფლიოს მოწინავე კვლევითი ორგანიზაციისა და ვაშინგტონის წამყვანი ანალიტიკური ცენტრის — „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის" კვლევის თანახმად, საქართველოს სასამართლო სისტემა, ეფექტიანობით, ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-18 პოზიციაზეა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში, პირველ ადგილს იკავებს.

იმავდროულად, სასამართლოს დამოუკიდებლობის, სასამართლო პროცესების ხარისხის და სასამართლოს მიუკერძოებლობის პარამეტრებით, საქართველოს სასამართლო სისტემა უსწრებს ესპანეთს, იტალიას, პოლონეთს, ხორვატიას, ჩეხეთს, უნგრეთს, მალტას, ლატვიას, საბერძნეთს, კვიპროსს, რუმინეთს, ბულგარეთს, სლოვაკეთს და სლოვენიას.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის" მიხედვით, საქართველო, საზოგადოების დაცულობის მაჩვენებლით, ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-16 ადგილზეა, ხოლო ორგანიზებული დანაშაულისგან თავისუფლების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში 25-ე ადგილზე, ევროპის საუკეთესო ოცეულში კი, მე-14 პოზიციას იკავებს, მაშინ როდესაც წინა ხელისუფლების მმართველობის დროს, 2012 წელს, ამ პარამეტრში 75-ე ადგილით, მსოფლიოს ყველაზე მაფიოზური ქვეყნების ჯგუფს მივეკუთვნებოდით.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, საქართველო ე.წ. „შავ სიაში" ჰყავდათ შეყვანილი, და მხოლოდ 2013 წლიდან დაიწყო საქართველოს „უსაფრთხო ქვეყნად" აღიარების პროცესი, სადაც დაცულია ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სადაც პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეები არ იდევნებიან. დღეს ამ სახელმწიფოთა 90 პროცენტი, საქართველოს „უსაფრთხო ქვეყნად" აღიარებს.

ეს არის რეალობა, რომელსაც, როგორც დარწმუნდით, ჩვენთან ერთად საერთაშორისო მონიტორებიც ერთხმად აღიარებენ. ერთადერთი ძალა, რომელიც ამ სიმართლეს გაურბის, „ნაციონალური მოძრაობა" და მისი პროპაგანდაა, რომელიც ჯიუტად არ იმჩნევს ესოდენ თვალსაჩინო პროგრესს, რადგან ქვეყნის წარმატებას, საკუთარ უბედურებად მიიჩნევს.

„ქართულმა ოცნებამ", ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მთლიანად შეცვალა პოლიტიკური ფილოსოფია და სახელმწიფოს ღერძად, უმთავრეს პრიორიტეტად, ადამიანი აქცია. სწორედ ამიტომ, ერთი კაცის შეუზღუდავ ძალაუფლებაზე მორგებული, მახინჯი კონსტიტუციის ნაცვლად, ახალი, ჭეშმარიტად ევროპული სტანდარტის კონსტიტუცია მივიღეთ, რადგან ეს არის ევროპული გზა, ნამდვილი ევროპული ღირებულება, — დემოკრატია სხვა ღირებულებას უბრალოდ, არ იცნობს.

სწორედ ამიტომ, ქართული ოცნების ხელისუფლება, ჯანდაცვაზე, სოციალურ მხარდაჭერაზე, უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნაზე ჯერადობით მეტ სახსრებს მიმართავს, ვიდრე ოდესმე დახარჯულა. სურათის ნათლად წარმოსაჩენად, მოდით, ისევ მოვიხმოთ სტატისტიკა, და დავინახოთ განსხვავება:

რეჟიმის ცხრაწლიანი მმართველობის დროს, ჯანდაცვაზე, სულ 2 მილიარდ 700 მილიონი ლარი დაიხარჯა, ხოლო ქართული ოცნების ხელისუფლების პირობებში — 8 მილიარდ 100 მილიონი ლარი, ანუ 3-ჯერ მეტი.

ჯანდაცვა ხელმისაწვდომი გახდა ყველასთვის. ასევე გაიზარდა, და



პრაქტიკულად გაორმაგდა, მოსახლეობის სოციალური დახმარებები. ბოლო შვიდ წელიწადში, სოციალურ დახმარებებზე მიმართულია 2 მილიარდ ლარზე მეტი, მაშინ როცა, წინა ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ 820 მილიონი ლარი იყო დახარჯული. გაორმაგებულია პენსიაც, და ზრდა მოხდება ყოველწლიურად.

აუცილებლად მინდა, რამდენიმე სიტყვით სოფელს და სოფლის მეურნეობასაც შევეხო. ჩვენი მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს, და ასეც რომ არ იყოს, ეს მიმართულება, ჩვენთვის, მხოლოდ ეკონომიკის ერთ-ერთი დარგი როდია — ქართული სოფელი, განსაკუთრებით ქართული ვაზი, და ქართული ღვინო, ჩვენი იდენტობის და მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

2012 წლამდე, დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდიდან მოყოლებული, ვენახების საერთო ფართობი 35 ათას ჰექტარს შეადგენდა.

2012 წლიდან სახელმწიფოს მიერ მევენახეობა-მეღვინეობის დარგში გატარებული სწორი პოლიტიკის, დარგის მხარდაჭერისა და სისტემური რეფორმების შედეგად, მხოლოდ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში, ვენახების ფართობი 20 ათასი ჰექტარით გაიზარდა, და 55 ათას ჰექტარს მიაღწია.

2012 წლამდე ყურძნის მოსავალი წლიურად 50–55 ათასი ტონის ფარგლებში მერყეობდა. დღეს კი, ეს მაჩვენებელი ექვსჯერ გაიზარდა, და 300 ათას ტონას მიაღწია.

შესაბამისად, ჯერადობით გაიზარდა მევენახეების შემოსავლები, რაც ასევე ასახულია კონკრეტულ ციფრებში — მევენახეებმა, 2013 წლიდან დღემდე, ყურძნის რეალიზაციით, 1 მილიარდ 400 მილიონ ლარის შემოსავალი მიიღეს.

სხვათა შორის, რთველი ჯერ არ დასრულებულა, და ყველა პროგნოზით, ეს ციფრები კიდევ უფრო გაიზრდება.

კახელი მევენახის ეს წარმატება — მთელი ქვეყნის წარმატებაა. ამ წარმატებით გამოწვეული სიხარულიც საყოველთაო უნდა იყოს თითქოს, მაგრამ სწორედ ამ წარმატებამ გამოიყვანა წყობიდან ნაციონალების პარტია, რომლის მთავარმა პროპაგანდისტმა ღრმად დაბუდებული სნეულება ვერ დაფარა, და პირდაპირ ეთერში ქართული ღვინის წაბილწვით დაემუქრა გამრჯე კახელ გლეხს.

დამეთანხმებით, ეს ყველაზე თვალსაჩინო მტკიცებულებაა, შესაძლოა, ყველა სტატისტიკაზე უფრო მყარი.

ყველას კარგად გვახსოვს, რომ წლების განმავლობაში, მათი თავმოწონების და ტრაბახის ერთ-ერთი მთავარი საგანი, ინფრასტრუქტურის, გზების, და მაგისტრალების მშენებლობა იყო.

მოდით, ამ შემთხვევაშიც სტატისტიკას მივენდოთ:

„ქართული ოცნების" მმართველობის პერიოდში, ასეულობით მილიონი ლარი მოხმარდა გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას, რამაც ჯამში 3300 კილომეტრზე მეტი შეადგინა.

საუკეთესო შედეგები გვაქვს ჩვენი მოსახლეობის წყალმომარაგებისა თუ ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის მიმართულებით. 2021 წელს, ჩვენი მოსახლეობის 90%-ზე მეტი ისარგებლებს ბუნებრივი აირით, რაც ევროპის მასშტაბითაც კი, ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

ზოგადად, საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით, ჩვენ მიერ 8 წლის მანძილზე გაწეული ხარჯი, 6 მილიარდ 800 მილიონ ლარს შეადგენს, და ორჯერ აღემატება წინა ხელისუფლების ცხრაწლიან პერიოდში გაწეულ ხარჯს.

წინა ხელისუფლებამ, 9 წლის განმავლობაში, სულ 68 კილომეტრი ავტომაგისტრალი დააგო. ჩვენ კი, მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე, 70 კილომეტრამდე ჩქაროსნულ მაგისტრალურ გზას გავხსნით. შედეგად, 2013 წლიდან 2020 წლს ჩათვლით, ჯამურად, 200 კილომეტრს, ანუ ორმაგი ბიუჯეტით თითქმის სამჯერ მეტს ვაკეთებთ.

ეს რომ ლიტონი სიტყვები, ან სუბიექტური შეფასება არ არის, ამას შესაბამისი საერთაშორისო რეიტინგებიც ცხადყოფს. კერძოდ:

მსოფლიო ბანკის მიერ, 2012 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების კვლევაში, „კორუფციის კონტროლის" მიხედვით, საქართველო, მსოფლიო ბანკის წევრ ქვეყნებს შორის, 62-ე ადგილზე იყო, ხოლო „საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიერ, იმავე წლის დეკემბრამდე გამოქვეყნებული „კორუფციის აღქმის" 2011 წლის ინდექსის მიხედვით, მსოფლოში 64-ე პოზიცია გვეკავა;

2012 წელს, მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ანგარიშის თანახმად, „კორუფციისგან თავისუფლების" მიხედვით, (რომელიც მოგვიანებით „მთავრობის კეთილსინდისიერების" ინდექსად გარდაიქმნა), ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში 69-ე ადგილს იკავებდა.

2012 წლის ოქტომბრის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, და დღეს, საქართველო, ამავე რეიტინგებში, „მთავრობის კეთილსინდისიერებით" მსოფლიოში 31-ე პოზიციაზეა, „კორუფციის კონტროლით", მსოფლიო ბანკის წევრთა შორის, 41-ე ადგილზეა, თანაც, ამ ორივე ინდიკატორით, ევროპის საუკეთესო ოცეულშია და უსწრებს კიდეც ევროკავშირის 13 სახელმწიფოს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული „კორუფციის აღქმის" ინდექსის მიხედვით, საქართველო, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, პირველ ადგილზეა. იმავდროულად, 2020 წლის „ეკონომიკის თავისუფლების ინდექსის" მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მე-12 პოზიციაზეა.

სულ ორიოდ დღის წინ, 29 სექტემბერს მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული „გლობალური მმართველობის ინდიკატორების" მიხედვით, საქართველომ „მმართველობის ეფექტიანობით" ახალი ისტორიული მაქსიმუმი დააფიქსირა, და ევროკავშირის წევრ 8 ქვეყანას გადაასწრო.

ყველაფერი ამის არდანახვა, მხოლოდ ბრმას, ან მხოლოდ მოძალადე რეჟიმს შეუძლია.

შევეხოთ განათლებასაც.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ განათლება უმოკლესი გზაა თავისუფლებისკენ, და სწორედ ამიტომ, ჩვენი მმართველობის დროს, განათლების სფეროში გასამმაგებულია ხარჯები.

შედარებისთვის, 2013–2020 წლებში, განათლების მიმართულებით, 11 მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯა, მაშინ როცა, წინა ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ 4 მილიარდ 600 მილიონი ლარი.

ჩვენ გავაორმაგეთ მასწავლებელთა ხელფასები, და დღეს 400 ლარის ნაცვლად, კვალიფიციური მასწავლებლების ანაზღაურება, 1000 ლარს აღემატება.

განათლების უპრეცედენტო რეფორმის ფარგლებში, ვაგრძელებთ ახალი სკოლების მშენებლობას, არსებულის რეაბილიტაციას და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მათ აღჭურვას;

ღირსეულად გავაცილეთ ჩვენი ღვაწლმოსილი პედაგოგები და შევქმენით დამატებითი მოტივაცია სკოლებში, განსაკუთრებით, რეგიონებისა და მთის სკოლებში პედაგოგთა ახალი თაობის მოსაზიდად.

არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს, რომ საგარეო კუთხითაც კიდევ უფრო გავიმყარეთ პოზიციები. წინსვლა გვაქვს ევროპული და ევროატლანტიკური მიმართულებებით. „ქართული ოცნების" ხელისუფლების ანგარიშზეა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება, ევროპასთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დაწესება, და აშშ-ს ორპარტიული მხარდაჭერის აქტი.

უდავო ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველოს არ ახსოვს სტაბილურობის და მშვიდობიანი, დემოკრატიული განვითარების ესოდენ ხანგრძლივი პერიოდი. „ქართულ ოცნებამდე" ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ აიცილა არეულობა, ქაოსი, და სისხლისღვრა. გადაჰყვება ჩვენს ისტორიას, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე: სამხედრო გადატრიალება, რასაც ეროვნული ხელისუფლების დამხობა, პირველი პრეზიდენტის მკვლელობა, და სამოქალაქო ომი მოჰყვა; შემდეგომ კი, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში შეიარაღებული კონფლიქტების პირველი ფაზა, მარცხი, და ასობით ათასი დევნილი მოსახლეობა; კრიმინალური ბანდების თარეში, და პრაქტიკულად გაუქმებული, დისფუნქციური სახელმწიფო, განადგურებული, ნულზე დაყვანილი ეკონომიკა, და სრულიად მოშლილი სოციალური ინფრასტრუქტურა; შემდეგ — სტაგნაცია, კორუფციული ჭაობი, უძრაობა, და როგორც შედეგი, ხელისუფლების კვლავ არაკონსტიტუციური, რევოლუციური გზით ცვლილება; პირველი იმედები, გამოცოცხლება, და ისევ ომი, ოკუპაცია, ადამიანური მსხვერპლი, დევნილი მოსახლეობის ახალი ნაკადი, და მძიმე ეკონომიკური კრიზისი.

უმძიმესი მემკვიდრეობის, ურთულესი გეოპოლიტიკური გამოწვევების, და რყევების მიუხედავად, ჩვენ პირველი ხელისუფლება ვართ, ვინც ხანგრძლივად მოვახერხეთ შეგვენარჩუნებინა მშვიდობა და სტაბილურობა, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ მშვიდობა და სტაბილურობა წარმოადგენს ქვეყნის გაძლიერების, დემოკრატიული განვითარების, და შეუქცევადი წინსვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს.

ცინიზმის მწვერვალია, როცა პოლიტიკური ძალა, ვინც პირდაპირ შემოუძღვა ოკუპანტს ქვეყანაში, და შემდეგ ევროპის საბჭოში საკუთარ სამშობლოს ოფიციალურად დააბრალა ომის დაწყება, — დღეს ჩვენ გვდებს ბრალს ბორდერიზაციასა და მცოცავ ოკუპაციაში.

და მაინც, არსებობს საკითხი, რაშიც ვეთანხმებით უკლებლივ ყველა ოპონენტს, და რაც ობიექტურ რეალობას ასახავს. ეს არის, ჯერ კიდევ დაუძლეველი სიღარიბე. კარგად გვესმის, რომ ჯერ კიდევ ბევრია გაჭირვებაში მყოფი ოჯახი, და უმუშევარი მოქალაქე; ვიცით, რომ უამრავ ადამიანს უდიდესი ძალისხმევა სჭირდება, რომ ნორმალურად გამოკვებოს ოჯახი, იზრუნოს შვილების ხარისხიან განათლებაზე, ჰქონდეს ცხოვრების ღირსეული პირობები.

დიახ, სიღარიბე ობიექტური რეალობაა, და ჩვენ მის არსებობას, რასაკვირველია, ვაღიარებთ, მაგრამ ჩვენ ვერ მივიღებთ ბრალდებას იმის თაობაზე, რომ სიღარიბე, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო, „ქართული ოცნების" მმართველობის შედეგია.

დღევანდელი სიღარიბე ათეული წლების მანძილზე დაგროვებული პრობლემაა და სათავეს იმ დროიდან იღებს, როდესაც ჩვენი ხელით დავანგრიეთ ახლად ფეხადგმული სახელმწიფო.

ქართულმა ოცნებამ ნამდვილი მაგალითი აჩვენა, როგორ უნდა დაუდგე ხალხს გვერდში, შეუმსუბუქო ყოფა, და აგრძნობინო, რომ მარტო არ არის განსაცდელის პირისპირ.

ჩვენ, რვა წელია ვებრძვით სიღარიბეს, და მოვახერხეთ ოცწლიანი დაღმასვლის შეჩერება — 400 ათასამდე ჩვენი მოქალაქე ამოვიყვანეთ უკიდურესი სიღატაკიდან, თუმცა, კიდევ გვრჩება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, 700 ათასზე მეტი ჩვენი მოქალაქე. ეს ძალიან დიდი რიცხვია. სამწუხაროდ, ჩვენი ეკონომიკა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს პრობლემა ერთბაშად დავძლიოთ, მაგრამ მტკიცედ გვწამს, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკით, ერთიანობით, თავდაუზოგავი და პატიოსანი შრომით, პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით, ჩვენ ამ პრობლემასაც წარმატებით დავძლევთ.

მჯერა, ჩვენი ხალხი თავის არჩევანს იმ ძალის სასარგებლოდ გააკეთებს, რომელსაც სწორი გზით წინ მიჰყავს ქვეყანა, რომელმაც დაამტკიცა, რომ შესწევს უნარი შეინარჩუნოს მშვიდობა და საკუთარ მოქალაქეებს სტაბილური გარემო შეუქმნას წინსვლისა და წარმატებისთვის.

ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, კვლავაც ერთად საქართველოს წარმატებისთვის!

# ნაცმოძრაობა - მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

← 7 გვ.

გამოშტერების იარაღად იქცა ხელისუფლების დაკვეთით და ხელისუფლების კარის პიარშჩიკების მიერ ჩატარებული და ბოლო ხმაზე გახმაურებული გრანდიოზული გამოკითხვები თავისი ფანტასტიკური შედეგებით – მთელი ქართველი ხალხი თურმე ერთადერთ იმედად და სასოდ მიიჩნევდა ნაციონალურ მოძრაობას და მის გაცისკროვნებულ ლიდერს! დენ სიაო პინს არ ჰქონია ასეთი რეიტინგები, მგონი, – მაო ძე დუნს და კიმ ირ სენსაც! რა თქმა უნდა, ქართველ ადამიანს, ბოლო წლების უსამართლობის და მედიადაბრმავების შემყურეს, რომ ვიდეოკამერის ფონზე ჰკითხავდნენ, – მიშა მოგწონს თუ არაო? გიჟი უნდა ყოფილიყო და გადამთიელი, რომ 90%-ით „გარანტირებული პასუხი“ ვერ გამოეცნო. ნაცხელისუფლება კიდევ უფრო ამწვავებდა და ცინიზმით ავსებდა ქვეყნის შიგნით ოპოზიციასთან ურთიერთობებს. ახალი პოლიციის კანონი, რომლითაც პოლიციის „გონივრული ეჭვი“ ყოვლისშემძლე ხელკეტი ხდებოდა ნებისმიერ ოპოზიციონერის და კრიტიკულად განწყობილი მოქალაქის წინააღმდეგ, ცვლილებები კონსტიტუციაში, რომელიც არსებული საარჩევნო სისტემის და პოლიტიზირებული პოლიციის პირობებში სააკაშვილის და ნაცმოძრაობის უვადო და ულიმიტო მმართველობის გარანტია გახლდათ. სასამართლოს, მედიის და ბიზნესის სრული კონტროლი და უსამართლობა. ოპოზიციონერების დაშინების და დაპატიმრებების ახალი ტალღა. ცინიზმის კიდევ უფრო შთამბეჭდავი მაგალითი იყო პრეზიდენტ სააკაშვილის რეჟისორული და აქტიორული ტალანტების გამოყენებით დადგმული ტელესპექტაკლი მისი მთავრობის ყველა დროის ყველაზე ოდიოზური წევრის ბატონი კახა ბენდუქიძის „თავისუფალ უნივერსიტეტში“, სადაც სტუდენტებთან შეხვედრა უცნაური ისტორიული „აღმოჩენების“ (რომ თემურ ლენგი თურმე წყალტუბოს აბაზანების მისაღებად იპყრობდა საქართველოს) და ნოვატორული ინოვაციების (დიზელის ეკონომიის და რუსეთის ეკონომიკისთვის დარტყმის მიყენების სურვილით მთავრობის ელექტრომობილებზე გადასმის „ხარჯ-ეფექტური და ეკოლოგიური“ იდეა) ოპოზიციონერების მიმართ ნახმარი ეპითეტები, „თავგასიებული“ და „პახმელიაზე მყოფი“ იმის დემონსტრირებას ახდენდა, რამდენად „მაგარია მიშა“, დემაგოგიის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს იმ ქვეყანაში, სადაც ოპოზიციისთვის ნაციონალურ მასშტაბის არხების ტელეეთერის დროის მხოლოდ 5–10% იხარჯება და მათი უმეტესობა – აზრების დამახინჯებული გადმოცემით ან დაუფარავი კრიტიკით გახლდათ „შევსებული“. აპოგეა იყო 2007 წლის 7 ნოემბრის ხალხზე სახელმწიფო ძალადობის „სანიმუშო ოპერაციად“ გამოცხადება, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იმის განცხადება, რომ გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილი ფსბ-ს გენერლებთან ერთად გეგმავდა 7 ნოემბრის გადატრიალებას და რომ ჩვენმა პოლიციამ იმ დღეს „ქვეყანა გადაარჩინა და მადლობის ღირსია“ (თუნდაც აკრძალული იარაღის გამოყენების და დამოუკიდებელი მედიის სამაგალითო დარბევის გამო!). – ამით ხელისუფლება ყველას, აფრთხილებდა – „ფეხებზე მკიდიხართ, ყველას ჩაგრეცხავთ, ვინც აქამდე გადამირჩით!“ მიხეილ სააკაშვილი დღემდე ლაქლაქებს „ბრძოლის ახალ ეტაპზე“, მისი “იდეების უკვდავებაზე” რათა თავის მცირერიცხოვან მრევლს იმედი არ დაუკარგოს ხოლო მოწინააღმდეგეებში უიმედობა დათესოს...მიუხედავად იმისა, რომ „ბრწყინვალედ იგებდა“ საპარლამენტო თუ ადგილობრივ არჩევნებს, მიუხედავად „ბეჭებზე დადებული“ და ვერგაერთიანებული ოპოზიციისა, მიუხედავად ირანის, ბელორუსიის და უკრაინის მხრიდან მოულოდნელი დახმარებისა, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაც მოირგეს და ბიზნესიც და ნაციონალური მედიაც ენაამოგლეჯილ მარიონეტებად აქციეს მიხეილ ცრუ თავის ბანდასთან ერთად საქართველოს ამომრჩევლებმა მაინც გაისტუმრა პოლიტიკურ სამარეში საიდანაც უტიფრად ცდილობენ ამოძრომას, რადგან ჯერ კიდევ ბევრი დარჩათ შესაცეცხლი და გასანადგურებელი... ნაცხროვის ლიდერების აქტუალური თემა „კორუმპირებული ოცნება“ და დანაშაულის ზრდაა. არადა, ნაცლიდერები საკუთარი მოსახლეობის დაყაჩაღება ძარცვის გარდა აქტიურად იყვნენ ჩართულები კრიმინალურ საქმიანობაში. მათ შორის ნარკოტიკებით ვაჭრობაშიც. სწორედ გაღლეტილი ვანო და გარეწარი ერეკლე კოდუა „აკვარახჭინებდნენ“ განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკების ბრუნვას. გაეროს ანტინარკოტიკული მოხსენების 2007 წლის ანგარიშით, ყოველწლიურად დასავლეთის ქვეყნებში კავკასიიდან – უკრაინის, თურქეთის ან ბულგარეთის გავლით – 7 ტონამდე ჰეროინი ხვდება. მწვანეთა პარტიის ლიდერის გ. გაჩეჩილაძის მაშინდელი გამოთვლებით ამიერკავკასიის რეგიონში რჩება 4 ტონა – შემოსულ 11 ტონასა და გასულ 7 ტონას შორის არსებული სხვაობა. აქედან უშუალოდ საქართველოში – 2,4 ტონამდე რჩება და ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილის მოწამვლის, დეგრადაციის და ნაადრევი სიკვდილის მიზეზი ხდებოდა. ორი ტონის გასაღების შედეგად საქართველოში მოქმედ ნარკომაფიას წლიურად დაახლოებით 700 მილიონი-1,5 მილიარდი დოლარის შემოსავალი რჩებოდა. წითელი ხიდიდან საქართველოში შემოსული 11 ტონა ნარკოტიკი მთელი ქვეყნის ტერიტორიას უპრობლემოდ გადიოდა და ფოთის პორტშიც უპრობლემოდ იტვირთებოდა საქართველოდან მიმავალ ბორნებზე. საქართველოში „ნაცების ხანაში“ ჰეროინის წლიურად ამოღებული ნარკოტიკის რაოდენობა მხოლოდ 8–9 კგ (ანუ საერთო ტრანზიტის მოცულობის 0.4%!) იყო!. ეს მაშინ, როცა მოსაზღვრე ქვეყნების საბაჟო სამსახურები, სადაც ეს ნარკოტიკი ხვდებოდა, თითქმის ყოველწლიურად საქართველოდან შემოსულ და ევროპისათვის გამზადებულ საკმაოდ დიდ პარტიებს აკავებდნენ. მაგალითად 2007 წელს მარტო უკრაინის საბაჟომ ილიჩევსკის პორტში საქართველოდან შემოსული ჰეროინის ორი დიდი პარტია – 174 კგ (23 ივლისი) და 105 კგ (29 ნოემბერს) – დააკავა, რაზეც უკრაინის საბაჟო დაცვის სამსახურის ოფიციალური პრეს-ორგანო და ინტერნეტ-სააგენტო წწწ.24.უა. იუწყებოდნენ. 2007 წლიდან გაიხსნა ფოთი-ბურგასის საბორნე მარშრუტი, რომელიც ქართულმა ნარკოტრაფიკის მესვეურებმა უფრო პერსპექტიულად ჩათვალეს და მომსახურების დიდი ნაწილი იქეთ გადაამისამართეს. შედეგად კიდევ უფრო რეზონანსული იყო 2008 წლის 16 დეკემბერს „ბოსტონჰერალდ.კომ“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ასახული, საქართველოდან ბურგასის პორტში უკვე 400 კგ ჰეროინის დაკავების ფაქტი. მარტო ამ ტვირთის ფასი დასავლურ ბაზარზე ნახევარ მილიარდ დოლარს უახლოვდებოდა! ნაცპოლიციას კი, რომელიც ყოველდღიურად ათეულობით ნარკოტიკების მომხმარებელს რამდენიმე მილიგრამის აღმოჩენის ბრალდებით აკავებდა და აშანტაჟებდა ან მრავალწლიან პატიმრობას უსჯიდა, ასეთი მსხვილი პარტიები, როგორც წესი „ეპარებოდათ“ ხოლმე. იშვიათი გამონაკლისი იყო 2010 წლის ივნისში – ამერიკული და ევროპული სპეცსამსახურების მიერ საქართველოს ანტინარკოტიკული სამსახურის შესაძლო კრიმინალურობაზე ალაპარაკების შემდეგ, სამხრეთ ამერიკიდან შემოსულ და უკვე ადრესატამდე მისულ ჯართში კოკაინის სერიოზულ ოდენობის – 180 გრ-ის აღმოჩენა, რომელიც შაქრო კალაშოვის ბანდას დაბრალდა. არადა,



კოდუას ბანდას ეკუთვნოდა. ის ფაქტი, რომ ნარკოტიკები შემოტანიდან კარგა ხნის შემდეგ აღმოაჩინეს და არა პორტში, არამედ ფოთიდან კარგა შორს დაშორებულ სოფელში, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მაშინდელ საპორტო სამსახურის უგერგილობას და უსაქმურობას და დანაშაულებრივ ქმედებებს. მეორეც, აღმოჩენილი კოკაინის ოდენობა და ფული – 1,75 მლნ ევრო მნიშვნელოვანია, მაგრამ ცოტა ფერმკრთალდება იმ ფონზე, რომ გახმაურებული ინფორმაციით ამავე ჯგუფმა ერთი წლის წინ 500-ჯერ დიდი პარტიის – 90 კგ კოკაინის – თურქეთში გატანა განახორციელა და ფანტასტიური მოგება ნახა. უცნაურია, რომ საქართველოს პოლიციამ მხოლოდ უკანასკნელი ნამცეცები აღმოაჩინა და დააკავა, მაშინ, როცა მთელი ტვირთი 99,9% უპრობლემოდ გავიდა დასავლეთში. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს სახ. დეპარტამენტმა 2008 წლის მოხსენებაში მთავრობის მიერ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის შესახებ ასეთი მკაცრი განცხადება გააკეთა „საქართველოს მთავრობა სატრანზიტო ნარკოტიკების ბრუნვის სანდო სტატისტიკას არ ფლობს. 2004–06 წლებში ნარკოტიკების ამოღება საერთოდ არ მომხდარა. ზოგიერთისთვის ეს ნარკოტიკების ტრანზიტის არარსებობის მაჩვენებელია. სხვებისთვის კი პოლიციურ არაადექვატურ მუშაობაზე ან კორუფციულ გარიგებაზე შეიძლება მეტყველებდეს.“ იმაზე, რომ საქართველოს შსს მაღალჩინოსნები უშუალოდ გარეულნი იყვნენ ნარკოტრეფიკში და სწორედაც ამ ტრეფიკის კონტროლიორებად და მთავარ მეწილეებად გვევლინებოდნენ, ასევე გვაფიქრებინებს ანტინარკოტიკული სამსახურის ყოფილი თანამშრომლის თემურ რევაზიშვილის ინტერვიუც. 2005 წ. სოდ-ის ყოფილი თანამშრომლები თ. რევაზიშვილი და გ. ხუხია სოდი-ი დეპარტამენტის უფროსს ირაკლი კოდუას და მის მოადგილეს კახა მისირელს ნარკორეალიზტარებთან კავშირსა და მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. რევაზიშვილის განცხადებით კოდუამ მას მანამდე ერთ-ერთი ნარკორეალიზატორის წინააღმდეგ საქმის შეწყვეტა და ნარკობიზნესში თანამშრომლობა შესთავაზა. უარის მიღების შემდეგ კი რევაზიშვილი მოტყუებით წყნეთში წაიყვანეს, შვიდი პოლიციელი დაესხა თავს და სცემეს, და მოკვლა დაუპირეს. რევაზიშვილმა მოძალადე თანამშრომლებს აღიარებითი ჩვენება არ მისცა და გაქცევა მოახერხა. (კოდუა არაერთმა თანამშრომელმა ამხილა, მაგრამ ფული ნაკვალევს შლის) დიახ, ნაცხელისუფლება, მისი ძალოვანი სტრუქტურები, თავად იყვნენ ჩაბმულნი ნარკოტრაფიკის მართვაში და ამ გზით იღებდნენ კოლოსალურ მოგებას, რასაც შემდეგ საარჩევნოდ მოსახლეობის მოსყიდვასა და საქართველოს ხალხის წინააღმდეგ ზონდერბრიგადების გაწვრთნა-გამოკვებაში იყენებდნენ. კოდუას უწყება ძირითადად ებრძვოდა არა ნარკოდილერებს, არამედ ნარკოტიკების მომხმარებლებს, რომელთაც შემდეგ შანტაჟის გზით იყენებდა უამრავი ბინძური ანტისაზოგადოებრივი მიზნებისათვის...ვანო გაღლეტილი განაგებდა იმ ფონდებს, რომლითაც საქართველოს მთავრობა თუ უცხოეთი 2008 წლის ომის შემდეგ ლტოლვილებს სახლებს უშენებდა, ხოლო ამ ფონდების მიერ აშენებული ათასობით სახლის სანაცვლოდ სამშენებლო კომპანიებს ოფიციალურად დაფიქსირებული თანხების ნახევარიც კი არ მიუღიათ! სავარაუდოდ, ესეც რამდენიმე ათეული მილიონი ლარია! – ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ამ თანხებს სადმე შენახვა არ უნდოდა? ნაცმოძრაობის ლიდერებს სხვა პირებზე გაცემული ყალბი პასპორტები, ძირითადად, სწორედ, უცხოეთის ქვეყნებში ამ ფიქტიურ პირებზე ძალინ სერიოზული საბანკო ანგარიშების გასახსნელად სჭირდებოდათ! სწორედ ვინმე „ლევან მაისურაძეები“ ურიცხავდნენ ფულს ბინძური დავალების შემსრულებლებს, ქილერებს თუ მაქებარ-მადიდებლებს.

(გაგრძელება იქნება)

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

# დავით გარეჯი, „შესანიშნავი სამეული“ და „უსაზღვრო“ ქვეყანა

## დავით გარეჯთან დაკავშირებული სავარაუდო დანაშაულებრივი შეთანხმება იმ დროსაა მომხდარი, როცა ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, მისი მეუღლე ბადრი ბიწაძე კი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შეფი







გენპროკურატურამ როგორც კი გააკეთა დავით გარეჯთან დაკავშირებით განცხადება, რომ დაწყებულია გამოძიება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის მონაკვეთების საქართველოსთვის საზიანო შეთანხმებაზე, კოლექტიური ნაცები უნისონში აწიოკდნენ. განსაკუთრებით აქტიურნი მიხეილ სააკაშვილი და ნინო ბურჯანაძე ბრძანდებიან, რაც არც არის გასაკვირი, რადგან გამოძიება საქართველოს ტერიტორიების გადაცემის ფაქტზეა დაწყებული, ეს, რბილად რომ ვთქვათ, სავარაუდო ფაქტი, იმ დროსაა მომხდარი, როდესაც მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი გახლდათ, ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო ამ უკანასკნელის თანამეცხედრე ბადრი ბიწაძე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შეფი. გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა პირადი სარგებელის მიღების მიზნით, დავით გარეჯის მიმდებარე ტერიტორიები აზერბაიჯანს გადასცა და ბრალიც უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემას ითვალისწინებს. დავით გარეჯის კომპლექსთან და საერთოდ, საქართველო-აზერბაჯანის საზღვრის ეს მონაკვეთი, გარკვეულწილად აქილევსის ქუსლია, პერიოდულად გამწვავდება ხოლმე ეს პრობლემა, მერე მინელდება, რაც წლებია გრძელდება. სახელმწიფო საზღვრის ამ მონაკვეთის ბედი, დღემდე ბურუსით მოცული ჩანდა. საზოგადოებას არაერთხელ დაუსვამს კითხვა, 30 წელია დამოუკიდებელი სახელმწიფო გვქვია და რატომ არ დაადგა საშველი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების დემარკაცია-დელიმიტაციასო. იმედია, პროკურატურა გასცემს პასუხს ამ ფრიად საჭირბოროტო კითხვას პირველ ეტაპზე გარეჯის მონაკვეთთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, გამოძიების დაწყების საფუძველი, თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია გახდა, რომელიც სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის საქმიანობას (2006–2007 წწ) შეეხებოდა. თავდაცვის უწყება ამ მიმართულებით თუ კვლავ გააგრძელებს მუშაობს, გამოიკვლევს საზღვრების მთელ პერიმეტრს, კიდევ ბევრ მავნებლობას აღმოაჩენს. რაც შეეხება ზემოხსენებულ მონაკვეთს, როგორც ირკვევა, ნაცრეჟიმის დროს საქართველო-აზერბაიჯანის სადავო საზღვრის გარკვეული მონაკვეთები, აზერბაიჯანის სასარგებლოდ განზრახ შეთანხმდა, რაც ბუნებრივია, ვერ მოხდებოდა პრეზიდენტ სააკაშვილის გარეშე, რომელიც გახლდათ შესაბამისი უფლებამოსილი პირი. საქმე ჯერ მხოლოდ ფაქტზეა აღძრული, პრეზიდენტყოფილ მიხეილს ჯერ ბრალი არც წაყენებია, მაგრამ მან უკვე დაიწყო ჩვეულ სტილში თავის მართლება და როგორც ყოველთვის, ყველაფერში რუსული „ფეესბეს“ კვალიც დაინახა.

ტყუილად კი არ ამბობენ, ქურდს ქუდი ეწვისო, ქართლელები უფრო კონკრეტულები არიან ამ კატეგორიის პერსონების მიმართ გამონათქვამში, თავისი ცოდვები ალაპარაკებსო. ერთ-ერთი პირდაპირი ჩართვის დროს მიხაილო-„ტელევარსკვლავსაც“ არაერთი წამოცდენა დაემართა — ჩემს წინააღმდეგ ჩემი „ზეობისდროინდელი“ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე მისცემს ჩვენებას, რომ სააკაშვილმა დავით გარეჯის გაყიდვით 80 მილიონი დოლარი მიიღოო. ამ ჩართვამ საზოგადოებას ნათლად დაანახა, რომ სააკაშვილი უსუსურად ცდილობს სიმართლის დამალვას და მნიშვნელოვან წამოცდენებს აკეთებს, კერძოდ, 80 მილიონად გარეჯის გაყიდვაზე თუ გიორგი მანჯგალაძის შესახებ, არც პროკურატურას უთქვამს და არც მედიასაშუალებებს, თავად სააკაშვილიმა გაავრცელა ეს ინფორმაციაო, წერს პრესა. სამაგიეროდ, მრავალ თანამდებობაგამოცვლილი, შალიკოს ფანჩატურგამოვლილი „ოპოზიციონერი“ ნინო ბურჯანაძე უტევს იქით ხელისუფლებას. ამ ქალბატონის აზრით, დავით გარეჯთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება, თურმე უსინდისოდ დადგმული სცენარია. ქალბატონო ბურჯანაძევ, იმ ადამიანების სახელით ლაპარაკს თავი დაანებეთ, ვინც გამოძიებას თქვენსავით უსინდისოდ დადგმულ სცენარად არ თვლის. ჩვენ არც იმაში გვეპარება ეჭვი, რომ ნამდვილად არ იწვით სააკაშვილის დაცვის სურვილით. საკუთარი თავი და მეუღლე გყავთ „გასაპრავებელი“, რომლებსაც იმ პერიოდში საპასუხისმგებლო თანამდებობები გეკავათ.



კოლექტიური ნაცები და მათი ფანკლუბი „გვამშვიდებს“, ნაცრეჟიმს ოფიციალურად ხომ არ გაუფორმებია აზერბაიჯანთან შეთანხმება, გარეჯის გადაცემის თაობაზეო, ეგ ჩვენც ვიცით, მაგრამ შეთანხმება ხომ არსებობდა? ზუსტად ამ ინფორმაციის გამოჟონვას მოყვა ხმაური, ბადრი ბიწაძემ დავით გარეჯი გაყიდაო. ნაცების მიმართ ფრიად „მიმტევებელთაგან“ განსხვავებით, ამნეზია არ დაგვმართია და სხვა ყველაფერთან ერთად, თვითმფრინავის ტრაპიდან პირდაპირ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სავარძელში „გადაპორტირებული“ სტიუარდესა ჟანას, უკაცრავად ნინოს (კალანდაძე) დაბნეული გამოსვლაც გვახსოვს, რომ თურმე დავით გარეჯი ალბანური ძეგლია, ნაცების რუხი კარდინალის, ძაან „კულტურული“ ნიკა რურუას „მარიფათიანობის“ შესახებაც გვსმენია თუნდაც ამ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით. ბადრი ბიწაძე სააკაშვილის გარეშე რომ ვერაფერს გაყიდდა კი არა, ხელსაც ვერ გაანძრევდა, ამაში არც ჩვენ გვეპარება ეჭვი, მაგრამ ამ აღებ-მიცემობის უკან რეალურად რა იდგა, ამას გამოძიებამ უნდა მოჰფინოს ნათელი. ბურჯანაძე რომ ბრძანებს, ჩვენ დროს ოფიციალურად არ გაფორმებულა აზერბაიჯანთან ხელშეკრულებაო, სააკაშვილ-ბურჯანაძის მმართველობის დროს რაზეც შეთანხმდნენ, ზუსტად იქ იდგნენ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები. არ არის სავალდებულო ხელშეკრულების გაფორმება, ორი სახელმწიფოს უმაღლეს პირებს შორის, შეთანხმება შეიძლება არსებობდეს. მარტივი რამაა, ჯერ უნდა შექმნა ფაქტი, ნაცებმა შექმნეს ფაქტი შეთანხმებით და დადგნენ იქ აზერბაიჯანელები, რა თქმა უნდა მერე ხელშეკრულებაც დაიდებოდა, მაგრამ ჯერ 2008 წლის ომმა ჩაშალა ეს ამბავი, მერე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკაში და ველარ მოესწრო. ხელისუფლება კი შეიცვალა, მაგრამ ახლებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და გაგრძელდა იგივე. ამ შეთანხმების საფუძველზე შეიძლება ყოფილიყო დიდი რაოდენობით თანხაზე საუბარი, შეიძლება ეს ბენზინის, გაზის იმპორტს შეეხებოდა. 2007 წელსვე საუბრობდნენ მილიონებზე, რომელიც ბადრი ბიწაძემ აიღოო, ე.ი. არსებობდა შეთანხმება, იმიტომაც ამბობდნენ რომ იქ ჩართული იყო ქვეყნის №1 მესაზღვრე ბადრი ბიწაძე.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილის, სასაზღვრო ჯარების პოლკოვნიკის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის **გელა ხუციშვილის** განცხადებით, როცა ქვეყნის საზღვრებზე ვსაუბრობთ, ჯერ უნდა გავერკვეთ, საქართველო რომელი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეა, პირველი



რესპუბლიკის, როგორც ეს ზვიად გამსახურდიამ ბრძანა, თუ საბჭოთა საქართველოსი, სწორედ ეს საკითხია დაკავშირებული სასაზღვრო ხელშეკრულებასთანო.

**გელა ხუციშვილი**: ხუთი წელია კომპეტენტურ პირებს ვთხოვ, რომ პარლამენტში დააყენონ საზღვრის ინვენტარიზაციის საკითხი, საბოლოოდ ხომ უნდა გაირკვეს ჩვენი საზღვრები. მარტო გარეჯი კი არ არის პრობლემური, იქ ხუჯაბია, ლალვანის ქედი (სომხეთის საზღვარი, ქვემო ქართლი), აქეთ დარიალის ხეობა და ა.შ., ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული. თქვენ რომ გაჩვენათ რა ვითარებაა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე სოფელ ვახტანგისთან, სრული კატასტროფაა, რადგან არასწორადაა გაკეთებული გამიჯვნა, „წითელი ხიდისკენ“ მიმავალი არხები შეცვლილია. ყველაზე ცუდი ისაა, რომ როდესაც მე და ვალერი ჩხეიძე (საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი შეფი) ამ საკითხებით ვიყავით დაკავებული, ალაზანზე საზღვრის გამიჯვნის საკითხზე თავს ვიკავებდით, რადგან სწორად არ იყო დაყენებული შესაბამისი ნიშნები. სასაზღვრო მდინარეზე სიღრმეებზე, ფარვატერზე უნდა გავიდეს საზღვარი და არა პირდაპირ მდინარეზე, იმიტომ, რომ მდინარე ხშირად იცვლის კალაპოტს, ალაზანი სულ უფრო ღრმად შემოდის ჩვენს ტერიტორიაზე, რადგან აზერბაიჯანელები სათავისკენ ინერტულ მასალას ყრიან. ჩვენ არც მუდმივი მტრები გვყავს და არც მუდმივი მეგობრები, მუდმივი ინტერესები უნდა გვქონდეს და ეს ჩვენი ტერიტორიაა, რომელსაც ყველა მხრიდან გვედავებიან. გარდა საზღვრის ინვენტარიზაციისა, სხვაც უამრავია გასაკეთებელი. დაიწყო ხომ პროკურატურამ გამოძიება, მარტო გარეჯის თემით არ უნდა შემოიფარგლოს, გააგრძელოს და დაუყოვნებლივ ჩაატაროს საერთაშორისო ხელშეკრულებების რევიზია, რომელიც დაკავშირებულია საზღვართან. ეს ძალიან სერიოზული საკითხია, აქამდე თავს რომ „ვიმშვიდებდით“, აქა-

13 გვ. →

# რაც მოხდა მარნეულსა და ბოლნისში, იმ ინციდენტის უკან „ნაცები“ და „ევრონაცები“ იდგნენ

***გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი:***

**— მოგესალმებით, ალი-აღა, მოგვიყევით, რა მოხდა, სინამდვილეში, მარნეულში?**

— დაძაბული საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. ყველა იბრძვის, იმდენი ხმა მოაგროვოს, რომ პარლამენტში მოხვდეს.

მე დავდივარ მაჟორიტარულ ოლქებში, ვხვდები ამომრჩეველს, სიტყვითაც მივმართე მათ და ვცდილობ, გონებაარეული ადამიანები გზა-კვალზე დავაყენო.

**— ცენტრალური შტაბის დავალებებს ასრულებთ?**

— შტაბთან არავითარი კავშირი არ მაქვს. საჭიროების შემთხვევაში, ვუკავშირდები ისეთ ადამიანებს, რომლებიც, ვიცი, რომ „ნამდვილები“ არიან და არა პორტირებულები.




არავითარ დაფინანსებას არ ვიღებ პარტიიდან. მე, თავად, ჩემი ხარჯებით ვაკეთებ საქმეს. ვცდილობ, აზერბაიჯანულ მოსახლეობაში მეტი ინფორმაცია შევიტანო.

წავიდა ის დრო, როცა სიმართლის თქმა საშიში იყო. 2012 წლიდან არჩევნები დემოკრატიულ ვითარებაში ტარდება, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ის ძალები, რომლებიც საქართველოში თარეშობდნენ 9 წლის განმავლობაში, კვლავ თავიანთი ტელევიზიებით და ჭკუადაბნელებული მომხრეებით, ცდილობენ დაძაბონ ურთიერთობა ქვეყანაში, შელახონ საქართველოს იმიჯი საერთაშორისო დონეზე.

რაც შესაძლებელია, ყველაფერს აკეთებს „ქართული ოცნების“ გუნდი, მაგრამ ზოგიერთი ტელევიზია, თავისი ზონდერებით, ცდილობს ქვემო ქართლში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, დესტაბილიზაცია მოაწყონ.

რაც მოხდა მარნეულში და მანამდე ბოლნისში, სპეციალურად იყო პროვოცირებული. უფრო ადრე მარნეულში — მიშა-მიშას რომ იძახდნენ აზერბაიჯანელები, იმ ინციდენტის უკან ზუსტად „ევროპელები“ და „ნაცები“ იდგნენ. ისინი დღესაც ყველანაირ უნამუსობას კადრულობენ. ჰყავთ სპეციალურად მომზადებული ხალხი, რომლებსაც ავალებენ, რომ არიონ სიტუაცია და მერე ვინ ვის ურტყამს, გარკვევა ძნელია. გგონია, რომ ვიღაცა სხვა სცემს ნაციონალს. სინამდვილეში, ორივე ნაციონალების მხარდამჭერები არიან და სპეციალურად სცემენ ერთმანეთს.

სამწუხარო ფაქტი მოხდა ბოლნისში, სოფელ ნახიდურში, სადაც შეხლა-შემოხლაში მოხვდა პარლამენტარი გოგი მეშველიანი. დეზინფორმატორებს ცნობა გაუგზავნიათ აზერბაიჯანში: ბოლნისში სომხები და აზერბაიჯანელები დაეტაკნენ ერთმანეთსო. მერე მთელი ამბები დამჭირდა, ამეხსნა აზერბაიჯანული მხარისთვის ბაქოში, რომ მეშველიანი სვანია — ქართველია და არა სომეხი.

სპეციალურად აკეთებენ ამას ნაციონალები, რომ ისე წარმოაჩინონ, თითქოს საქართველოში ეთნიკური კონფლიქტები არსებობს და ის დრო და დრო მწვავდება.

მავნებლები არიან ნაცები, ამიტომაც ბევრი სხვა არჩევნები ყოფილა, მაგრამ ყველაზე მეტად ამ არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაზე ვღელავ.

**— ალი-აღა, თქვენ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ხართ, იყავით სათათბიროს წევრი, პოლიტსაბჭოს დეპუტატი, პარტიული აქტივისტი ხართ, ყველა ხედავს ამას. არავის შემოუთავაზებია თქვენთვის დეპუტატობის კანდიდატობა? თუ არა — მიზეზი რა შეიძლება იყოს?**

— ამ კითხვაზე პასუხს ყოველთვის ვერიდები, რადგან მე, პირველ რიგში, ვარ საქართველოს მოქალაქე და არ აქვს მნიშვნელობა, რომელი პოსტიდან ვემსახურები ჩემს ქვეყანას.

„ქართული ოცნების“ პარტიის წევრი ვარ, მყავს ჩემი გუნდი. არ არის არც ერთი აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფელი, სადაც არ არის ჩემი წარმომადგენლობა.

2012 წლის გამარჯვების შემდეგ თირკმელში კენჭის გავლით საავადმყოფოში მოვხვდი — ზუსტად 81 სოფელი და 17 რაიონი ფეხით შემოვიარე და გავცივდი, ალბათ.

ქართლის სოფლებში დავდიოდი, აქტიურ აგიტაციას ვეწეოდით... ჩვენთან ერთად იყო მაშინ გივი ბერიკაშვილი, რეზო ჩხეიძე, გუჯა ბურდული და სხვები.

მერე მე პოლიტსაბჭოს წევრი გავხდი, შემდეგ კვირიკაშვილი მოვიდა და რატომღაც, საერთოდ, იგნორი გამიკეთეს, მაგრამ არაუშავს, ყველაფერს თავისი დრო აქვს — დამთავრდება ეს არჩევნები, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და მე ვიტყვი ყველაფერს, რა, როგორ და რატომ ხდებოდა და ხდება.

პროფესიით პარტიის მშენებლობის სპეციალისტი ვარ. ვიცი, რა არის პარტია, მისი მუშაობის სპეციფიკა და შედეგები.

დღეს პარტია „ქართულ ოცნებაში“ არიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც საერთოდ არ იციან პარტიული მუშაობა. ღიად ვამბობ ამას და მოვუწოდებ „ქართულ ოცნებას“ — სანამ კიდევ დროა, შტაბმაც და ხელმძღვანელობამაც გაითვალისწინონ: 2012 წლის 1 ოქტომბრის გამარჯვება რომ მოვიპოვეთ ტერორის, დაშინების, მუქარების და ზეწოლის ფონზე, ალი ბაბაევისნაირი ასიათასობით ადამიანი რომ გამოვიდა გარეთ რისკის ფასად, აი, იმ ადამიანებმა შეუქმნეს „ქართული ოცნების“ ზოგიერთ გაყოყოჩებულ თანამდებობის პირს ის გარემო და სტატუსი, რაც ახლა აქვთ და მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდება ხალხს. გალაღებული პორტირებულები ზიან ნაბრძოლი ადამიანების მონაპოვარზე.

2012 წლის არჩევნებში ხმები რომ გააყალბა, ყოფილი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რამაზ ბუდაღაშვილი დღეს გარდაბნის მერი გახლავთ. 2007 წლიდან ეს კაცი ნაციონალების გვერდით იდგა. მანამდე იქ გოჩა ჯამარაული იყო მერად. მთელ გარდაბანს უყვარდა ჯამარაული. ის რატომღაც გაათავისუფლეს და ნაციონალი ბუდაღაშვილი დანიშნეს. ეს ყველაფერი ასე არ დარჩება. ყველაფერი გაირკვევა და სამართალი დადგება. დარწმუნებული ვარ ამაში.



**— ნაციონალების მაჟორიტარული სია როგორ მოგწონთ?**

— გულწრფელად მინდა გითხრათ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

„ნაცებმა“ პირველ ნომრად ბუბა კიკაბიძე დაასახელეს, რომელიც 82 წლისაა. არჩევნების შემდეგ პარლამენტის სხდომა უხუცესმა უნდა გახსნას. გამოდის, რომ ნაციონალების კანდიდატი გახსნის.

სანამ კიდევ დროა, უნდა ჩასვას „ქართულმა ოცნებამ“ სიაში რომელიმე სახელოვანი უხუცესი.

ყველაფერი ერთად დაგროვდა და 31 ოქტომბრის შემდეგ მე ვაპირებ დავასახელო, სახელებით და გვარებით, ადამიანები, რომლებიც პარტიის და ქვეყნის გაძლიერების ნაცვლად, წლების მანძილზე რითი იყვნენ დაკავებული. არც კარიერა მაინტერესებს და არც თანამდებობა. ვამხელ ყველას ფაქტებით და ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან.

მე, ვინც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელთა შორის ვიყავი და ფაქტობრივად, ჩემს თვალწინ, ჩემი უშუალო და უანგარო მონაწილეობით შეიქმნა პარტია „ქართული ოცნება“, ოთხი წლის განმავლობაში ვერ მივაღწიე იმას, რომ შევხვედროდი პარტიის აღმასრულებელ მდივანს ირაკლი კობახიძეს. 10 წუთიც ვერ გამონახა. ჩემთვის, პოლიტსაბჭოს წევრისთვის თუ არ სცალია, რიგით წევრს ვინ გაუღებს პარტიაში კარს.

როცა მე ვიყავი პოლიტსაბჭოში, სხვა წევრებთან ერთად 24 საათის განმავლობაში ვღებულობდით ადამიანებს. დღეში 30–40 კაცს ვხვდებოდით თითოეული.

არჩევნებამდე ერთი თვე დარჩა. გონს მოეგონ. ვინც შტაბში ზის, შეხვდნენ ხალხს. ყავის სმას, ლაქლაქს და ფეისბუკში თამაშს ნუ გადააყოლებენ საქმეს.

**— რას ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს?**

— ბატონ ბიძინა ივანიშვილს მინდა მივმართო — შეკრიბოს ის ხალხი, რომლებმაც 2012 წლის 1 ოქტომბერი მოიყვანეს. პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური რომ ტრიუმფალურად მოიგო, ის ხალხი მოძებნოს.

დღეს ივანიშვილის იმედი აქვს ყველას, მან გადაარჩინა ქვეყანა ტერორს, ნაციონალურ ფაშიზმს, კრიმინალების ბანდას. მოუხმოს იმ ადამიანებს და დადგება ფეხზე პარტიაც და ქვეყანაც.

**— ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებს რომ დავუბრუნდეთ, ეს ურთიერთობები მრავალ საუკუნეს ითვლის. თქვენ, პირადად, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ დავით გარეჯის საკითხი ჩვენს შორის ურთიერთობებს კარგს არაფერს მოუტანს?**

— საკუთარი თვალით მაქვს ნანახი იქაურობა, მაქვს საკუთარი პოზიცია და გეტყვით, რასაც ვფიქრობ: დავით გარეჯი არის ქართული ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე. კომპლექსთან სადაო აზერბაიჯანს არაფერი არ აქვს, რაც შეეხება ტერიტორიას, სადაც მიმდინარეობს საზღვრების დემილიტარიზაცია, გახლავთ ისტორიული მემკვიდრეობის კერები, რომლებზეც არის კიდევაც დღესდღეობით ლაპარაკი.



ეს დღევანდელი და გუშინდელი ამბავი არაა. დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან არის დადგენილი ეს საზღვრები.

ყველაფერ ამას იყენებს ის პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსდებიან და არიან მიმართული იქითკენ, რომ შენიშნონ სადმე დესტაბილიზაციის კერები. თუ ასეთი ვერ ნახეს, ცდილობენ, შეიქმნას პრეცედენტი, რომ საქმე მიეცეთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი დაძაბონ ურთიერთობა ქართულ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის.

ახლა საქმეა აღძრული და გენერალური პროკურატურა იძიებს გარეჯის საკითხს. მოხარული ვარ ამით. ნეტა, მალე გაირკვეს ყველაფერი და ფარდა აეხადოს სიმართლეს, მაგრამ ამასთან რა კავშირშია საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები?

ჩვენ ვართ საქართველოს მოქალაქეები, ზოგიერთი მათგანის წინაპარი 12–13 თაობა საქართველოშია დაბადებული...

დღეს სოციალურ ქსელში და ისეც, ზოგიერთი თათრებს, ყიზილბაშებს და ათასგვარ რამეს გვიწოდებს. ვინც ასე მოგვიხსენიებს, თავად არ არის არც ნაღდი ქართველი და არც ქრისტიანი.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩვენი თანამოქალაქე სომხები ცდილობენ რაზმები შექმნან და**

შემდეგ შეთანხმება შედგა, რომ შეწყვეტილიყო შეიარაღებული დაპირისპირება, თუმცა სომხების მადა ვერ დაკმაყოფილდა. გამუდმებული პროვოკაციების და საომარი მოქმედებების მერე სიტუაცია თითქოს დარეგულირებული იყო, მაგრამ ფაშინიანმა და მისმა ხელისუფლებამ 26-27 სექტემბერს კვლავ დაბომბა მშვიდობიანი მოსახლეობა არაკონფლიქტურ რაიონებში. დღესდღეობით მიმდინარეობს სომხების მიერ ოკუპირებული იმ რაიონების გათავისუფლება. დღეის მონაცემებით (5 ოქტომბერი. — ი.კ.) გათავისუფლებულია ერთი რაიონი, ათობით სოფელი და კვლავ მიმდინარეობს საომარი მოქმედებები ფიზულის, აღდამის, ჩალბაჯარის, გუბადლუს, აღდარას, შუშის და სხვა რაიონების დასაბრუნებლად.

30 წელიწადია კონფლიქტი მიმდინარეობს, თუმცა ჩართული არიან მსოფლიო ორგანიზაციებიც, ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიდა საქმე წინ.

მე მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს ხელისუფლებას, პირველ რიგში, პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა მინისტრს, პარლამენტის კომიტეტს, დიდი მადლობა ბატონ პრემიერს, რომელმაც მოუწოდა მხარეებს კონფლიქტის დასარეგულირებლად მოწვევისთვის საქართველოში.



**ერევანს აზერბაიჯანის წინააღმდეგ ომში დაეხმარონ. რას იტყვით ამაზე?**

— თქვენ იცით, როგორ შეიქმნა სასომხეთის სახელმწიფო.

ყარაბახში მოხდა ისეთი რამ, რაც ახლა ხდება ჯავახეთში.

150 წლის წინათ ჩამოვიდნენ სომხები ყარაბაღში.

კონფლიქტი სსრკ-ს დაშლის შემდეგ დაიწყო, ისე, როგორც აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში. ცხინვალის რეგიონი დაწერეთ არ შეგეშალოთ და სამხრეთ ოსეთი არ დაწეროთ.

**— რატომ უნდა შემეშალოს?!**

— ბევრს ეშლება და ბევრიც სპეციალურად აკეთებს და იმიტომ.

რაც შეხება ყარაბაღს, როგორ დაიწყო კონფლიქტი, ამის მომსწრე მე ვარ. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ აზერბაიჯანმა ამ კონფლიქტით მიიღო მილიონზე მეტი ლტოლვილი და რუსეთის მონაწილეობით დაკარგა ტერიტორიების გარკვეული ნაწილი.

ჰეიდარ ალიევის მოსვლის

საქართველოში მაცხოვრებელმა აზერბაიჯანელებმა გადავწყვიტეთ, რომ ამ საქმეში არ ჩავერიოთ. მე პრესკონფერენციაც გავმართე ამის თაობაზე.

რაც შეეხება ჩვენს თანამოქალაქე სომხებს, რომლებიც სასომხეთში აპირებენ საომრად წასვლას. ისინი არღვევენ საქართველოს კონსტიტუციას და მოქალაქის უფლება-მოვალეობების კანონს. უნდათ მიეხმარონ სეპარატისტებს, რათა კიდევ მეტი ტერიტორია გამოსტაცონ აზერბაიჯანს. სომხებს ოკუპირებული აქვთ აზერბაიჯანული მიწები. ეს გაეროს დადგენილებითაც დამტკიცებულია და ყაზანის, ჟენევის და მინსკის ჯგუფების მიერაც.

დღეს სომხეთი შველას სთხოვს მსოფლიოს — დამეხმარეთო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათ არავინ დაეხმარება ამ უსამართლო ბრძოლაში.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# დავით გარეჯი, „შესანიშნავი სამეული“ და „უსაზღვრო“ ქვეყანა

← 11 გვ.

ოდა უვიცობით მოგვდისო, სწორედ ის უვიცობაა ღალატი. ადრე გამოქვეყნდა სტატია ამ სათაურით, სადაც ამომწურავად ვისაუბრე და დავაყენე საკითხი, მაგრამ ეს პრობლემა მაშინ ყურადღების მიღმა დარჩა, ახლა კი ძალიან სერიოზულადაა ყველაფერი და საჭიროა ამის მიხედვა. ვიმეორებ, გაგრძელდეს გამოძიება, მივყვეთ მთელ საზღვარს, დაიწყო გარეჯის მონაკვეთიდან, მერე მივყვეთ იქ გვაქვს არღუნის ხეობა, დიკლოს მთა, ერისიმედი, „წითელი ხიდის“ მონაკვეთი, ვახტანგისის მონაკვეთი. გარდაბნის გამგებელი როცა ვიყავი, გამანაწილებელი არხებიც კი არასწორად იყო გაკეთებული, აი, ამ უთავბოლობამ მოგვიყვანა ამ ურთულეს ვითარებამდე, რომელშიც ვართ.

სადელიმიტაციო კომისიის შემადგენლობა ბევრ სახელმწიფოში მუდმივია, თუ რომელიმე წევრი არ გარდაიცვალა, შემადგენლობას არ ცვლიან, ჩვენთან კი, ყოველი მინისტრის შეცვლის შემდეგ იცვლება კომისიის შემადგენლობა. 1999 წელს, რაც გაკეთდა „უმტკივნეულოდ“ (რასაც ფაქტობრივად ჩემი თანამდებობა გადაყვა) შატილში, არღუნის ხეობაში, სადელიმიტაციო კომისიის მთელი შემადგენლობა დასასჯელი იყო, იმიტომ, რომ ველზე გაუსვლელად მოაწერეს ოქმს ხელი. თითქოს „უმტკივნეულოდ“ 1500 მეტრი 750 მეტრით შეამცირეს, ხომ თითქოს არაფერია, მაგრამ მთელს პერიმეტრზე უღელტეხილისკენ 10 კვ.კმ შეადგინა. ქართული მხარე რატომღაც ყველგან ვაგებთ ტერიტორიულ საკითხებში, სადაც სტრატეგიული უბნები და მნიშვნელოვანი საკითხებია. ზემოხსენებული შემთხვევა შევარდნაძის მმართველობის დროს მოხდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, ასეთი რამ არავის ეპატიება. მინდობილი პირები ვინც არიან, მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეროგატივე იყო ეს საქმე, ძალიან სერიოზულ ლაფსუსებს უშვებდნენ. ჩვენმა სამსახურმა ერთი პერიოდი შევძელით და დავაყენეთ საკითხი, რომ სადელიმიტაციო კომისიის თავმჯდომარე პარლამენტს დაემტკიცებინა, მაგრამ მერე რა მოხდა... მე თუ ვინმე მკითხავს აზრს ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, სადემარკაციო-სადელიმიტაციო კომისია პრეზიდენტის ქვემდებარე უნდა იყოს, ვინაიდან ქვეყნის ერთიანობის გარანტი პრეზიდენტია. ასეთი მომენტები ძალიან უყურადღებოდ არის დატოვებული. გარეჯის თემის ტალღაზე ისე „ლამაზად“ წაიღეს ჩვენგან ლალვანის ქედი და ხუჯაბის მონასტერი, რომ მგონი, ვერც მივხვდით. ისე გადმოწიეს სასაზღვრო საგუშაგოები სომხებმა, რომ ჩვენი მხრიდან ამაზე კრინტი არავის დაუძრავს და მგონი, არც აპირებენ არაფერს. მე ზუსტად არ შემიძლია იმის თქმა, რომ გარეჯის თემაზე სომხებმა გადაგვატანინეს ყურადღება, ძნელია იმის თქმა მტკიცებით ფორმაში, რომ ეს სომხებმა გააკეთეს, მაგრამ მოქმედების და დამდგარი შედეგის ანალიზი იძლევა იმის რეალურ და უტყუარ მტკიცებას. მთელი აქცენტის გარეჯზე გადატანის შემდეგ, მთლიანად უყურადღებოდ დარჩა ლალვანის ქედი, იქ სადაც კონდინიუმი იყო გავრცელებული, ხუჯაბის მონასტერი და იქ ორი ტბაა კიდევ, ესენი უკვე საზღვრის მიღმაა დარჩენილი. შეიძლება მე ვცდები, მაგრამ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით ასეა და უნდა გადამოწმდეს. ამიტომაც ვამბობ, რომ პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიება უნდა იყოს განგრძობადი, ხანგრძლივი, პარალელურად უნდა ჩატარდეს სახელმწიფო საზღვრის ინვენტარიზაცია და პროცესის მიმდინარეობისას უნდა დადგეს საკითხი, რომ საქართველოს ტერიტორიული წყლები, რომლებიც არ არის შეყვანილი ოფიციალურად საქართველოს მთლიან ტერიტორიულ სივრცეში, აუცილებლად შევიდეს. სრული განუკითხაობაა შავ ზღვაზე, იძარცვება ბიორესურსები. ჩვენ დროს საზღვრის დაცვის სამსახური კატეგორიულად კრძალავდა თურქული სეინერებს, ქაფშიის ჭერისას ფსკერული ტრალები გამოეყენებინათ. ახლა ამას არავინ აკონტროლებს, ნადგურდება მთელი ბიორესურსები. პირველად კი არ ვამბობ, ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის წარმომადგენლები ათი წელია, მედიასაშუალებებით ვიმეორებთ, რომ მოხდეს საზღვრის ინვენტარიზაცია, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. პირველი, რაც უნდა გააკეთოს პრეზიდენტმა, პარლამენტში უნდა დააყენოს საკითხი სახელმწიფო საზღვრების ინვენტარიზაციის და საერთაშორისო შეთანხმებების რევიზიის შესახებ. უკვე ბევრი ხელშეკრულების დენონსაციაა გასაკთებელი. მარტო ნაციონალების გაფორმებულებს არ ვგულისხმობ, რომ მარტო მათი დენონსაცია მოხდეს, 1992 წლის შემდეგ რა ხელშეკრულებებიც დაიდო, ყველა გადასახედია. როგორ ფიქრობთ, საქართველო-თურქეთის ხელშეკრულება არ ექვემდებარება სერიოზულ რევიზიას? ვგულისხმობ ჩარჩო-ხელშეკრულებას და შემდეგ იქ ყარსის ხელშეკრულებაა წამოსაწევი. ძალიან ბევრი რამ არის ძალიან უტვინოდ გაკეთებული, თან სპეციალურად.

მისახედია ეს ყველაფერი, თორემ ისე შემოგვაჭამენ და შემოგვაფცქვნიან ქვეყანას, მისგან ბევრი არაფერი დარჩება.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# რით მაოცებს „ოცნება“, ანუ ბალეტი სოფელში



„ოცნება“ უკვე მაოცებს. არ ვაჭარბებ, დედულსაც გეფიცებით და მამულსაც, რასაც ქვემორე დავწერ და ხელსაც მოვაწერ, სრული სიმართლეა!

„ოცნება“ მაოცებს-მეთქი და არა მხოლოდ „ოცნება“, ბიძინა ივანიშვილიც!

ამჯერად აღარ ჩამოვთვლი, რა გააკეთა ამ ადამიანმა, რას აკეთებს და რას გააკეთებს, უბრალოდ მოგიყვებით, რასაც მე ვხედავ.

ბოლო დროს ჩემ თავს ვატყობ, სოფელში (კახეთში) სიარულს მოვუმატე. არა, ადრეც დავდიოდი, მამაჩემის დანატოვარს ყურადღებას ვაქცევდი, მაგრამ ასეთი „ჟილკა“ არასდროს მქონია. რა იგულისხმება „ჟილკაში“? საკუთარი თავი, დავარქვათ მეორე „მე“ მუდმივად ჩამძახის: მიდი, გელა, მიდი, დარგე, გააშენე, გადახან, გადმოხან, დათესე, ხან ამოვა, ხან არა, ხან დაისხამს, ხან არა, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა, ხეხილი გაიხარებს, ბოსტანში ყაბაყი მაინც მოისხამს, რაღაცა გექნება, შვილებს მიაწვდი, ახლობლებს ხელს გაუმართავ, ვიღაცას დააპურებო.



აი, ვატყობ, ცოტა პოეტურად გამომდის... არადა, მინდა, რეალობა აღვწერო.

ჰოდა, იმას ვამბობდი... დავრგავ ვაზს, გული მიჩქარდება, ვაკვირდები, როგორ გამოაქვს ჯერ ორი უსუსური ფოთოლი, მერე სამი, ოთხი, ხუთი... ძლიერდება, რქა წამოვა, მტევანს გამოიბამს და როგორც ცხონებულმა ავლიპა პაპამ მითხრა ერთხელ, ეს ბალეტია!

ეხლა უყურეთ, ძაან მაგარ რაღაცას გეტყვით: ავლიპა პაპა (ზურაბაშვილი) 1990-იან წლებში გავიცანი, როცა ტელე-რადიო კომიტეტში დავიწყე მუშაობა. მაშინაც შემოდგომა იყო, ოქტომბერი. გულდაწყვეტილი მიყვებოდა, ახალგაზრდებს აღარ ვახსოვარ, ჩემთან აღარ მოდიან, არც კი მირეკავენო. შენ რომ ქორწილი გექნება, წამიყვანეო. მართლა წამოხვალთ-მეთქი? რას ჰქვია, არ წამოვალო? არ ვიცი, საიდან მიხვდა, ოქტომბრის ბოლოს მართლაც ვაპირებდი ქორწილს, თანაც კახეთში. ვუთხარი, თქვენს სოფელში უნდა წაგიყვანოთ, ბოდბისხევში-მეთქი. თვალები გაუბრწყინდა, ულვაშებზე ორი თითი გადაისვა და დაიწყო: მეეე, ყმაწვილო, დავიბადე და გავიზარდე სოფელ ბოდბისხევში, ჩემ მშობლებს ხშირად დავყავდი სამკალში. დიახ, ჩვენ ბავშვობიდანვე ვშრომობდით და ოოო, ეს იყო არა შრომა, არამედ... ბალეტი!

მაშინ 25 წლისა ვიყავი, სიტყვა „ბალეტმა“ ყური მომჭრა და ავლიპა პაპას შევეკამათე, რა ბალეტი, რი ბალეტი, მუშაობამ ვირი მოკლა-მეთქი

არა, ყმაწვილო, ძალიან კარგად მახსოვს, ეს იყო ბალეტიო.

გამეცინა, თავი დავუქნიე, აღარ ვაწყენინე, მაგრამ გულში მაინც არ დავეთანხმე.

ახლა ვხვდები, მართალი ყოფილა ავლიპა პაპა, თანაც 100%-იანი!

თქვენ, ძვირფასო მკითხველებო, უთუოდ დაგებადებათ შეკითხვა: პაპა და ბალეტი ჰო, მაგრამ ან „ოცნება“ რა შუაშია, ან კიდევ ბიძინა ივანიშვილი?

აი, ამაზე გიპასუხებთ დიდი სიამოვნებით: რაც მე მჭირს (ხისა და მცენარის დარგვაზე რომ მაჟრიალებს ხოლმე, ანუ ბალეტი), ეს არ გახლავთ ასაკოვანი დაავადება, არც ისეთი ასაკოვანი ვარ... ეს არის „ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის ბრალი. გახსოვთ, 2012-ში რომ იძახდნენ, ყველა სოფლისთვის 5 მილიონ ლარს გამოვყოფთო? მას მერე ჩემს სოფელში (უამრავ სოფელში) შეიყვანეს გაზი, ინტერნეტი, წყალი, გაკეთდა შიდა გზები, განათება და ასე შემდეგ. მაგალითად, ჩავალ თბილისიდან, გზა მხვდება გასივსივებული, ორ კვირაში კიდევ ჩავალ, ლამპიონებით მხვდება გაბრდღვიალებული, ამას წინებზე გამოაცხადეს, მიდმივი წყალი გექნებათ ცოტა ხანშიო. ამ ყველაფერმა გარემო გამოაცოცხლა და ადგილობრივებმა უკვე დაიწყეს მშენებლობები, ზოგი საცავს აშენებს, ზოგი – სასტუმროებს, ზოგიც – რაღაც საწარმოს. დადიან, მიწის ნაკვეთებს ყიდულობენ, ბაღ-ვენახებს აშენებენ. რამდენიმე დღის წინ მეზობელს ვუთხარი, მუდმივ წყალს გვიკეთებენ, მაგარი იქნება, აქ ედემის ბაღები უნდა გავაშენოთ-მეთქი. შემომღრინა – აბა, სად აკეთებენო?!

დაიწყეს, 27 მილიონია გამოყოფილი-მეთქი.

არაფერსაც არ გააკეთებენო, მაგ ფულს შასჭამენო!

მეგონა, გავახარებდი... წინა დღეს ქუჩაში ლამპიონები დაუყენეს, იქაურობა გაუნათეს და არ შეიმჩნია, გეგონება მაგისი პაპა ვირის „ტაჩკაზე“ კი არა, ლამპიონის ძირში მოკვდა.

აბა, 5 მილიონს რომ გვპირდებოდა, სად არიო?!

აგე, ამდენი რაღაცა გაგიკეთეს, იმაში დაიხარჯა-მეთქი!

მემრე, მე რაო?!

გაიგონეთ? მე რაო? მე ფული მინდოდაო!

ჩემი ღრმა რწმენით, ვინც დღეს სოფლის წინსვლას ვერ ხედავს, ის ან ბოღმაა, ან კიდევ კაი გვარიანად აპიპინებს!

დღეს ხშირად მესმის (შემომეყურება ხოლმე), „ოცნება“ აკეთებს, მაგრამ პიარი არ უვარგა, არ ჩანსო. კაი, ბატონო, დავუშვათ, პიარი არ უვარგა, მაგრამ ჩემი სოფლის ჩანგრეული შესასვლელი ჭავჭავაძის გამზირს რომ დაამსგავსეს, ეს რატომ არ ჩანს, მაინც და მაინც ვიღაცამ უნდა გამომიცხადოს, გზა გაგიკეთე, იცოდე, დაინახეო? ან იქნებ მთავრობიდან უნდა დამირეკონ, შენი სახლის წინ ლამპიონები ჩავრთეთ, ღამე გარეთ რომ გამოხვალ, ქვას ფეხს აღარ წამოჰკრავო?

სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ პროგრამის პრეზენტაციაზე ბიძინა ივანიშვილმა ასეთი რამ თქვა:

„ჩვენ არ ვიტყუებოდით და მათსავით („ნაციონალებივით“) სამსამჯერ არ ვხსნიდით რომელიმე ხიდს თუ საწარმოს, წითელ ლენტს არ ვჭრიდით თითო კილომეტრ დაგებულ გზაზე, არ ვპირდებოდით ხალხს მილიონიანი ქალაქების ორ წელიწადში აშენებას, საუკუნის პროექტებს არ ვარქმევდით. ვიწრო კოშკში ჩადგმულ საბავშვო ატრაქციონს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტად არ ვასაღებდით. არ ვაშენებდით მოჩვენებით კეთილდღეობას. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვასწორებდით მათ გამრუდებულს და ამიტომ შეგვრაცხეს უნიათოებად“.

ხომ ტრაბახობენ „ნაციონალები“, ქვეყანა ავაყვავეთო? მოდით, ჩემი სოფლის (და არა მხოლოდ) მაგალითზე გეტყვით: 9 წლის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა, გარდა სკოლისა, რომელიც მსოფლიო ბანკმა ააშენა. ერთ კვადრატული ასფალტიც კი არ დაუგიათ. ახლა კი, 8 წელიწადში თითქმის ყველა ორღობეში ასფალტი დაიგო და განათდა. დამნახავი ხედავს, ბრმა ისედაც ვერ ხედავს და ვერც დაინახავს. ერთი სიღნალი აქვთ სალაპარაკო, რომელიც ჩემ სოფელს გადმოჰყურებს და ბევრმა არც იცის, რომ ეგეც ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით გაკეთდა. რაც ბიუჯეტიდან ფული იყო გამოყოფილი, ადეიშვილმა, მერაბიშვილმა და საკაშვილმა შეჭამეს, ვინც უშუალოდ აშენებდა, რამდენიმე მილიონი თავისი ფული ჩაადებინეს, მერე მოგცემთო და გადააგდეს. მშენებლობის ყოფილმა მინისტრმა, თემურ ჩარკვიანმა ვალების გამო თავი მოიკლა, თან წერილი დატოვა, ჩემი ცოდვა ადეიშვილზე და საკაშვილზეაო.

მე არ ვამბობ, რომ სოფელი უკვე აშენდა და გაბრწყინდა, არა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ როცა ვხედავ (სხვებიც ხედავენ), ინფრასტრუქტურა უმჯობესდება, მეც მიჩნდება სურვილი, რაღაცა დავრგო, დავთესო, მოვიყვანო. ყველაფერს ერთი კაცი ვერ გააკეთებს, არც უნდა გააკეთოს. რასაც ბიძინა ივანიშვილი სოფელზე ამბობს, ვეთანხმები:

„ჩვენი მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს და ასეც რომ არ იყოს, ეს მიმართულება ჩვენთვის მხოლოდ ეკონომიკის ერთ-ერთი დარგი როდია – ქართული სოფელი, განსაკუთრებით ქართული ვაზი, და ქართული ღვინო, ჩვენი იდენტობის და მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ღვინო ვახსენე და სადღეგრძელო რომ არ გამომივიდეს, მოდი, ისევ „ულმობელ“ სტატისტიკას მივენდოთ: ჩვენი ხელისუფლების პირობებში, ქართული სოფლის ფეხზე დასაყენებლად 2 მილიარდ 500 მილიონ ლარზე მეტი ჩაიდო. წინა ხელისუფლებამ კი 9-წლიანი მმართველობის პერიოდში, ქართული სოფლისთვის ოთხჯერ ნაკლები, მხოლოდ 650 მილიონი ლარი გაიმეტა. ჩვენ ხშირად გვსმენია, რომ სოფლის მეურნეობისთვის გაწეული ხარჯები წყალში გადაყრილი ფულია. ამასობაში, რეალობა სულ სხვაა – სოფლები წელში იმართება, გლეხები ფერმერებად იქცნენ, სულ უფრო მეტი ადამიანი უბრუნდება სოფელს და თვალსაჩინოა გამოცოცხლების პროცესი – სამჯერ და მეტადაც არის გაზრდილი შედეგები სოფლის მეურნეობის ყველა დარგში“.

ადრეც დავწერე და ვიმეორებ: როცა ესენი, ანუ „ნაცები“ ხელისუფლებაში მოვიდნენ, ერთ დღესაც დაიძახეს, კახეთში ყველა სოფელს თითო ტრაქტორს ვჩუქნითო, გინდათ ხანით, გინდათ -თესეთო. როგორ გითხრათ, სოფლისთვის ერთი ტრაქტორი ცოტაა, მაგრამ მაინც რაღაცას ნიშნავდა. მიშამ ჩაამწკრივა, პირველზე თვითონ წამოჯდა და ჰაიდა კახეთისკენ. ჩალაუბნის გადასახვევთან რეები ჩაიდინა, როგორ იტინგიცა, ეგ კიდე საუბრის ცალკე თემაა, იქით ლენტები კუწა, აქეთ – ბუშტები უშვა. მოგვიანებით ჯუმბერ პატიაშვილმა მითხრა, ეგ ტრაქტორები ბიძინა ივანიშვილმა გვაჩუქაო, თან გაგვაფრთხილა, ჩემზე არაფერი თქვათო. ბატონი ჯუმბერი მაშინ პარლამენტში სოფლის მეურნეობის კომიტეტს ხელმძღვანელობდა, ტრაქტორების ამბავი ყველაზე კარგად იცოდა. ეგრეა, მიშას უყვარდა, ახლაც უყვარს სხვის სუფრაზე წამოჯდომა და დუდუკის დაკვრა. თან ისე დაუკრავს, მასპინძელს საერთოდ არ ახსენებს, ერთი მადლობა არ წამოსცდება. ამას წინებზე ბიძინა ივანიშვილის გაკეთებული საქმეების სია გამოვაქვეყნეთ, ერთმა მედლიანმა კაცმა დამირეკა რეგიონიდან, აქეთ მისაყვედურა, ჩვენ ამ საქმეების შესახებ რატომ არაფერი ვიცოდითო? რავი, მეგონა, იცოდით-მეთქი. არაფერიც არ ვიცოდით, ეხლა გავიგეთო. ეგეც პიარის ბრალია, მაგრამ როგორც თავად ბატონი ბიძინა ამბობს, ჩვენ ბევრს არ ვლაპარაკობთ, საქმეს უხმაუროდ ვაკეთებთო. სხვათა შორის, რაც მის გაკეთებულ საქმეებზე გავიგეთ, ეს იმის ნახევარია, რაც „ჩადენილი“ აქვს. ვეცდებით, რაღაც-რაღაცები გამოვიკვლიოთ და მომავალში გაცნობოთ.



დავუბრუნდეთ დასაწყისს... ახლა ხვდებით, რა მითხრა ავლიპა პაპამ? ყმაწვილო, ჩვენ ბავშვობიდანვე ვმუშაობდით და ეს იყო ბალეტიო. ვეთანხმები!

ამ მხრივ კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი... უახლოეს ხანში გეტყვით, თუ როგორ მიდის სოფელში ბალეტის საქმე.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# ვინ ჩააქრობს ხანძარს სამხრეთ კავკასიაში?

ფართომასშტაბიანი ომის დაწყების საშიშროების წინაშე დგას დღეს სამხრეთ კავკასია, რაც ადვილი შესაძლებელია გასცდეს რეგიონის ფარგლებს. არ გამართლდა იმ პოლიტოლოგების ვარაუდი, რომლებიც პროგნოზირებდნენ მთიან ყარაბაღის ლოკალური კონფლიქტი ავტონომიის ფარგლებს არ გასცდებოდა და მალევე დასრულდებოდა. იმედი ჰქონდათ საერთაშორისო საზოგადოება არ დაუშვებდა კონფლიქტის გაგრძელებას, ისევე როგორც წლეულს ზაფხულში და მოლაპარაკებებით შეძლებდნენ იქ არსებული პრობლემის მოგვარებას. სამწუხაროდ, კონფლიქტი უკვე გადაიზარდა ომში.

მთიან ყარაბაღში კონფლიქტი



ფაქტობრივად სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირებაა. პრობლემა გასული საუკუნის 90-იან წლებში გამწვავდა. თუმცა, საბჭოეთის პერიოდში დაპირისპირება არასოდეს ყოფილა, ორივე ერი სომხები და აზერბაიჯანელები ხელოვნურ ავტონომიაში მშვიდობიანად, მეგობრულად ცხოვრობდნენ. როგორ და რა მიზეზით იფეთქა ყარაბაღში 90-იან წლებში შეიარაღებულმა კონფლიქტმა, ნაკლებად არის საინტერესო, მთავარია დღევანდელი ვითარება.

კონფლიქტის ზონიდან ობიექტური ინფორმაცია არ ვრცელდება. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილხან ალიევი ომის განახლებაში სომხეთის პრემიერ-მინისტრს ნიკოლ პაშინიანს ადანაშაულებს, იგი კი თავის მხრივ აზერბაიჯანელებს. ორივე ქვეყანაში საყოველთაო მობილიზაციაა გამოცხადებული. მოხალისეთა ნაკლებობას მხარეები ნამდვილად არ უჩივიან.

ყარაბაღში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. გამუდმებით იბომბება მთავარი ქალაქი სტეპანაკერტი. დაწყებულია მოსახლეობის, მოხუცების, ბავშვების, ქალების ავტონომიური ოლქიდან ევაკუაცია. ორივე მხარეს არის მსხვერპლი, როგორც სამხედრო მოსამსახურეთა, ასევე მშვიდობიან მოსახლეობაში. დაზარალდნენ უცხოელი ფრანგი ჟურნალისტები, რომლებიც სასწრაფოდ წაიყვანეს სამშობლოში. დაზარალებულთა ზუსტი რაოდენობა უცნობია, რადგან დაზუსტებულ მონაცემებს მხარეები მალავენ. გასულ კვირას ალიევმა დაჭრილები მოინახულა აზერბაიჯანის საავადმყოფოებში.

ორივე მხარე ტრაბახობს სამხედრო ოპერაციების წარმატებით განხორციელებაზე, მაგრამ რეალური ვითარება უცნობია. შაბათს ყარაბაღის (იგივე სომხეთის) ჯარებმა დაბომბეს აზერბაიჯანის ქალაქი განჯა, იქ მდებარე აეროდრომი. აღსანიშნავია, რომ აეროდრომი სიდიდით და მნიშვნელობით მეორეა აზერბაიჯანში. ზარალის ოდენობა უცნობია, მაგრამ არის ადამიანების მსხვერპლი. ქალაქზე შეტევის ბრძანება მე გავეციო, განაცხადა ყარაბაღის არაღიარებულმა პრეზიდენტმა არიკ არუთინიანმა, რომელსაც აზერბაიჯანული მხარე დაღუპულად აცხადებდა. განჯის დაბომბით კონფლიქტის არეალი გაფართოვდა, მანამდე ბრძოლები ყარაბაღის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ახლა უკვე გასცდა ავტონომიის ფარგლებს, რაც ადვილი შესაძლებელია ორი ქვეყნის სომხეთ-აზერბაიჯანს შორის აშკარა ომის დაწყების საბაბიც გახდეს.

საერთაშორისო ორგანიზაციები მხარეებს ცეცხლის შეწყვეტის და მოლაპარაკებისკენ მოუწოდებენ. პრობლემის მოგვარების თაობაზე ისაუბრეს საფრანგეთის და რუსეთის პრეზიდენტებმა ემანუელ მაკრონმა და ვლადიმირ პუტინმა. ნიკოლ პაშინიანი მომხრეა მოლაპარაკების, მხოლოდ მინსკის ჯგუფის (ყარაბაღის პრობლემის მოგვარებისთვის ჯერ კიდევ 25 წლის წინ შექმნილი) შუამავლობით, რომლის შემადგენლობაშიც საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლები არიან. სამაგიეროდ, მოლაპარაკებების დაწყებას კი არა, ცეცხლის შეწყვეტასაც არ აპირებს ილხამ ალიევი. მისი განცხადებით, რეგიონში მშვიდობა მაშინ დამყარდება, როდესაც სომხები საერთოდ წავლენ ყარაბაღიდან. „...მას შემდეგ, რაც პაშინიანმა ყარაბაღი სომხეთის ტერიტორიად გამოაცხადა, ყოველნაირი მოლაპარაკება შეუძლებელია, ამიტომაც შევაჩერეთ". აზერბაიჯანის პრეზიდენტი არც მინსკის ჯგუფს წყალობს და სასტიკადაც გააკრიტიკა: „...აშშ-ი, რუსეთი, საფრანგეთი აქამდე ყურადღებას არ აქცევდნენ ყარაბაღის პრობლემას, მხოლოდ გვპირდებოდნენ სადაო საკითხის მოგვარებაში დახმარებას, მაგრამ რეალურად არაფერი გაკეთებულა. ჩვენ აღარ შეგვიძლია კიდევ 30 წელი ველოდოთ, პრობლემა ახლავე უნდა მოგვარდეს".





სამხედრო ექსპერტების შეფასებით, აზერბაიჯანელებს უცებ სურდათ დაემთავრებინათ ომი, მაგრამ ყარაბაღელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. განსაკუთრებით აშფოთებთ კონფლიქტისადმი თურქეთის დამოკიდებულება, რომელიც აშკარად უჭერს მხარს აზერბაიჯანს და შეიარაღებული კონფლიქტს ამართლებს კიდეც. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა განაცხადა კიდეც: „...მშვიდობა დამყარდება იმ შემთხვევაში, თუ ოკუპანტები წავლენ ავტონომიიდან". ვინ ჰყავდა მხედველობაში, არ დაუკონკრეტებია. საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუდ ჩაუშოღლუმ თქვა ჟურნალისტებთან: „...ჩვენ ვეხმარებით უკრაინას ყირიმის საკითხში. ვეხმარებით საქართველოს. თუ საჭირო გახდება აზერბაიჯანსაც დავეხმარებით სამხედრო ძალით, მაგრამ ბრძოლებში ჩვენი ჩართვა ჯერ საჭირო არ არის, მათ კარგი ჯარი ჰყავთ".

რეგიონში თურქეთს თავისი ინტერესები ამოძრავებს, რასაც არც მალავენ და ღიადაც აცხადებენ. პოლიტოლოგებმა გაიხსენეს ჰეიდარ ალიევის გამონათქვამი თურქეთისადმი: „...ერთი ერი ორი ქვეყანა": ასევე გაიხსენეს აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკოსის ჰენრი კისინჯერის რუსეთის ხელისუფლებისთვის 30 წლის წინ ნათქვამი ხელი აეღოთ კავკასიაზე, რადგან იქ თურქეთის მონოპოლია დამყარდებაო. ჩვენი მეზობელი უფრო შორს წავიდა, მათი მიზანია ოსმალეთის იმპერიის აღორძინება. ექსპერტები ფიქრობენ, თუ ვის შეუძლია ხელი შეუშალოს მიზნის მიღწევაში. მათი განცხადებით, თურქეთი სარგებლობს მსოფლიოში არსებული ქაოსით და ცდილობს მალე მიაღწიოს საწადელს.

მოლოდინის რეჟიმშია რუსეთი. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის წევრია, სადაც გაერთიანებულია დსთ-ს რამდენიმე ქვეყანა, მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით შემოიფარგლება. სომხეთის ხელისუფლებას არ უთხოვია და არ ერევა ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტში, მაგრამ თუ რომელიმე ქვეყანა გამოუცხადებს ომს, სომხეთის მხარეს უპირობოდ ჩაერევა. სწორედ ეს გარემოება აშფოთებთ ექსპერტებს — ადვილი შესაძლებელია ფართომასშტაბიანი ახალი რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყოს რეგიონში. გასათვალისწინებელია, რომ თურქეთს ნატოს რამდენიმე ქვეყანასთან, მათ შორის აშშ-თანაც ბოლო პერიოდში დაძაბული პოლიტიკური ვითარება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ალიანსის წევრია, თავს არავინ შეიწუხებს მათ დასახმარებლადო, აცხადებენ პოლიტოლოგები.

გასულ კვირას გავრცელდა ჯერ კიდევ დაუზუსტებელი ინფორმაცია — აზერბაიჯანის, ყარაბაღში მებრ-



ძოლ არმიაში დააფიქსირეს სირიაში მებრძოლი „ბოევიკები", რომელთა გადაყვანას თურქეთმა შეუწყო ხელი. თუ სიმართლე აღმოჩნდება გავრცელებული ინფორმაცია თურქეთი და აზერბაიჯანი არამარტო სკანდალში გაეხვევიან, მსოფლიო ქვეყნების დარტყმის ობიექტებიც გახდებიან. საერთაშორისო ტერორისტებად აღიარებულ ხალხთან ურთიერთობა ცივილიზებულ სამყაროსთვის ყოვლად მიუღებელია. მთიან ყარაბაღში კი განია ომია, რასაც ყოველდღიურად მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება, ინგრევა სოფლები და ქალაქები. როდის და რით დასრულდება ყოველივე, ვერავინ პროგნოზირებს. თურქეთი შორიდან იქნევს მუშტებს, რუსეთი საეჭვოდ არის გაყუჩებული...

**გია ბურდული**
551 71 27 07

---

**ირაკლი ვაშაყმაძე**

## აფხაზეთი მენატრება, დედი!

**აფხაზეთი მენატრება, დედი,**
**მენატრება გორა ხორავების**
**მენატრებით, როგორა ხართ, სად, ხართ,**
**სულში ყმუის და მჭამს ხროვა მგლების**
**მენატრება ხორავების სახლი,**
**ტკბილი სახლი, ღვინო მომაჭრული,**
**მტილოვანი, ბაღი მანდარინის**
**კომშის ძირას მეამბოხე ჭური**
**აფხაზური ჩახუტება გულში**
**და ბაბუის ტკბილი მოძახილი,**
**ანგელოზის ლექსად თქმული ლოცვა,**
**ბებოს ხელით მორთმეული ხილი,**
**მენატრება „ოისა რაიდა რაიდა"**
**აფხაზური მრავალჟამიერი,**
**ყანწით თქმული საკართანო სტუმრის —**
**დალოცოსო ღმერთმა ჩვენი ერი,**
**მენატრება ხორავების ეზო,**
**და ეზოდან ხედი მშვენიერი.**
**აფხაზეთი მენატრება, დედი!**
**მენატრება გორა ხორავების,**
**მენატრებით, ნეტავ ახლა სად ხართ?**
**ყმუის მგელი... და გვჭამს ხროვა მგლების.**



# ეგვიპტის უკანასკნელი პრინცესა ფავზია ფუადი – ბრძოლა ბედნიერებისთვის



მას ცისფერთვალება ვენერას და აღმოსავლეთის მარგალიტს უწოდებდნენ. ფავზია ფუადი ისტორიაში შევიდა, როგორც ეგვიპტის უკანასკნელი პრინცესა, რომელმაც უარი განაცხადა სამეფო ტიტულზე. მის ძარღვებში არისტოკრატი ფრანგების, გრაციოზული ჩერქეზებისა და თავისუფლებისმოყვარე ალბანელების სისხლი ჩქეფდა.

მან ხანგრძლივი, მაგრამ არა ყოველთვის ბედნიერი ცხოვრება განვლო; ფავზიას რთული გადაწყვეტილებების მიღებამ, სიმამაცისა და პრინციპულობის გამოჩენამ მოუწია, რათა უბრალო ქალური ბედნიერება მოეპოვებინა.

ეგვიპტისა და სუდანის სულთნის ფუად I-ის ქალიშვილი 1921 წლის ხუთ ნოემბერს დაიბადა ალექსანდრიაში, რას-ელ-ტინის სასახლეში. გოგონას ფავზია ბინტ ფუადი დაარქვეს. მეფე ფუადისა და დედოფალ ნაზლის ქალიშვილს ეგვიპტის პრინცესის შესაფერისი მომავალი ელოდა.



17 წლის ასაკში ყველა ამჩნევდა პრინცესა ფავზიას არაჩვეულებრივ სილამაზეს — სილურჯეში გადასული შავი თმა ხაზს უსვამდა მისი სახის კანის სითეთრეს; სულში ჩამწვდომი ცისფერი თვალები მის ნატიფ სახეს საოცრად შვენოდა; გრაციოზულობა მემკვიდრეობით ერგო, ჰქონდა წვრილი წელი და ნატიფი სხეული.

პრინცესამ ბრწყინვალე განათლება მიიღო შვეიცარიაში, კარგად საუბრობდა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და მისთვის ახლობელი იყო ევროპული კულტურის ტრადიციები.

ფავზია „აღმოსავლური დათბობის“ იმ შესანიშნავ დროში ცხოვრობდა, როცა წამყვანმა მუსულმანურმა ქვეყნებმა განვითარების პროევროპული გზა აირჩიეს. ქალთა უფლებები თითქმის გაუთანაბრდა მამაკაცის უფლებებს; ქალებს შეეძლოთ, არ ეტარებინათ ხიჯაბი, მიეღოთ განათლება და ემუშავათ კიდეც.

სწავლის დასრულების შემდეგ გოგონა სამშობლოში დაბრუნდა. ის არა მარტო სამეფო ტიტულისა და მრავალრიცხოვანი ვალდებულებების ტყვე გახდა, რომლებიც ქვეყნის მმართველთა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, არამედ ისლამისაც. იშვიათი გასეირნებების დროსაც კი უამრავი მოსამსახურე ახლდა და არ შეეძლო ცხოვრებით ტკბობა ისე, როგორც მის თანატოლებს.

ეგვიპტისა და ირანის მმართველებმა იოლად მიაღწიეს შეთანხმებას მათი შვილების დაქორწინების შესახებ. ქალმა ქორწილამდე მხოლოდ ერთხელ შეძლო საქმროს ნახვა. თუ ჭორებს ვენდობით, მოჰამედ რეზამ მაშინვე გადაწყვიტა ფავზიაზე დაქორწინება, როგორც კი მისი ფოტო ნახა. ქორწილი 1939 წლის მარტში გაიმართა. მსოფლიო აღფრთოვანებული იყო წყვილის სილამაზით. ფავზიას ვივიენ ლისა და ჰაიდი ლამარსაც კი ადარებდნენ.

ერთი წლის შემდეგ ოჯახში პირველი გოგონა გაჩნდა. პრინცესას შაჰმაზი დაარქვეს. მამა მემკვიდრეზე ოცნებობდა, მაგრამ უსიამოვნების მიზეზი ეს არ გამხდარა. ფავზიას ყურამდე მეუღლის ქალებით გატაცების ამბებმა მიაღწია და მათ ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა.

ამასთან, ეგვიპტის პრინცესა, რომელმაც გათხოვებისთანავე ირანის პრინცესას ტიტულიც მიიღო, მმართველი ოჯახის მხრიდან მის მიმართ არაკეთილგანწყობას გრძნობდა. რეზა ფეხლევის მამა დიდგვაროვანი არ იყო, ის ქვეყნის სათავეში სამხედრო გადატრიალების შედეგად მოვიდა. ის როგორც მმართველი, ცდილობდა შესაბამისად ეცხოვრა, მაგრამ დესპოტურ ბუნებას მაინც ვერ მალავდა.

მეუღლის ოჯახში ფავზია ფუადი მამამთილის დამთრგუნველი კონტროლის ქვეშ მოექცა. მას ეგვიპტიდან საყვარელი ნივთებიც არ წამოაღებინეს და ყოველ ნაბიჯზე აგრძნობინებდნენ, რომ მისთვის სხვა ცხოვრება დაიწყო; ნათესავებთან კონტაქტიც აეკრძალა — პრინცესა ოქროს გალიაში გამომწყვდეული აღმოჩნდა.

მალე მოჰამედ რეზა ფეხლევიმ ირანის მეფის ტიტული მიიღო და ძალაუფლება მის ხელში გადავიდა. როგორც უძლიერესი აზიური ქვეყნის მმართველის მეუღლე, ფავზია თავს უფრო ბედნიერად სულაც არ გრძნობდა. ქმრის ნათესავები და მეუღლეც, მასზე ზეწოლას განაგრძობდნენ. კლიმატის შეცვლის გამო ფავზიას მალარია შეეყარა, მეუღლის მუდმივი ღალატის გამო კი დეპრესიაში ჩავარდა.

კულტურის თაყვანისმცემელი ფავზია თეირანს მოსაწყენ, ჩამორჩენილ ქალაქად თვლიდა და მშობლიური კოსმოპოლიტური ქაირო ძალიან ენატრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორი ევროპული ენა იცოდა, მან ვერ შეძლო ფარსის შესწავლა და იძულებული იყო, ქმართან ფრანგულ ენაზე ელაპარაკა.

მოჰამედ რეზა ფეხლევის კორონაციას ფრანგი ჟურნალისტი სესილ ბიტონი ესწრებოდა. დედოფლის ეგზოტიკურმა სილამაზემ ის აღაფრთოვანა. ფავზიამ მონაწილეობა მიიღო ჟურნალ “Lიფე”-სთვის გამართულ ფოტოსესიაში და ჟურნალის 1942 წლის სექტემბრის ნომრის ნამდვილი მშვენება გახდა. ირანის დედოფლის სილამაზეზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა, თუმცა იმ პერიოდის ფოტოებზე ის სულ მოწყენილი და დათრგუნულია.

დედოფალი მონაწილეობას იღებდა ირანის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის პოლკოვნიკის ჩინით მეთაურობდა მისივე სახელობის მეორე კავალერიის პოლკს და ასოციაციას, რომელიც ორსული ქალებისა და ბავშვების უფლებებს იცავდა.

პირადი ბედნიერების ძიებაში ფავზიამ თამამი გადაწყვეტილება მიიღო და ქაიროში დაბრუნდა. მუსულმანური სამყაროს ურყევი კანონები ქალებს ძალიან მაღალ მოთხოვნებს უყენებს. ფავზია ძალიან რისკავდა, როცა 1945 წელს ეგვიპტეში მიდიოდა. ეგვიპტის პრინცესა ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი მუსულმანი ქალი, რომელმაც ქორწინების შეწყვეტა მოითხოვა.

ფუადს თავისუფლება ძალიან ძვირი დაუჯდა, ის იძულებული გახდა, შვილი ქმართან დაეტოვებინა. მოჰამედ რეზა სამი წელი არ აღიარებდა განქორწინებას. განქორწინების ოფიციალურ მიზეზად ფავზიას ჯანმრთელობის გაუარესება დაასახელეს, რაც ვითომ კლიმატის ცვლილებამ გამოიწვია და ვაჟს ვეღარ გააჩენდა. ფავზიას ყველა ტიტული და პრივილეგია ჩამოართვეს — ის კვლავ ეგვიპტის პრინცესა გახდა.

განქორწინებიდან ოთხი წლის შემდეგ ფავზია ფუადი მეორედ გათხოვდა. მისი რჩეული პოლკოვნიკი ისმაილ შირინი გახდა. ქორწინება წარმატებული აღმოჩნდა. ეგვიპტის პრინცესამ ბოლომდე შეიგრძნო დედობის ბედნიერება — მას ვაჟიც შეეძინა და გოგონაც. ოჯახი ქაიროში, ფავზიას მამულსა და ალექსანდრიაში ვილაზე ცხოვრობდა.

1954 წელს ეგვიპტეში გადატრიალება მოხდა. ძალაუფლება გამალ აბდელ ნასერმა ჩაიგდო ხელში, რომელიც ტირანიისკენ იყო მიდრეკილი. ფავზიას უმცროსი ძმა ფარუკი, რომელიც ტახტიდან ჩამოაგდეს, იძულებული გახდა, ქვეყნიდან გაქცეულიყო. პრინცესა ფავზია და მისი მეუღლე კი ეგვიპტეში დარჩნენ.

ეგვიპტის მომდევნო მმართველი ანვარ სადათი ლოიალურ პოლიტიკურ შეხედულებებს იზიარებდა. მან მიღებაზეც კი მიიწვია ეგვიპტის პრინცესა...

და ბოლოს...

ეგვიპტის უკანასკნელმა პრინცესამ 91 წელი იცოცხლა. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ტიტულები და პრივილეგიები დაკარგა, თავისი ხალხისთვის ის ბოლომდე პრინცესად დარჩა.

ფავზია ფუადი 2013 წლის 3 ივლისს ქაიროში დაკრძალეს.

პრინცესას სახელი ჰქვია ქალაქ ფავზიაბადს, ასევე ქუჩებს — ქაიროსა და მაადიში.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22




## „ყილოშტყებამი“




გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ მეგრული თარგმანი „ყილოშტყებამი“

მთარგმნელი
აბელ ფეტელავა

**აკადემიკოს აპოლონ სილაგაძის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „ვეფხისტყაოსნის“ აბელ ფეტელავასეული თრგმანი ყველაზე სრულყოფილი, ყველაზე მაღალმხატვრულია არათუ მეგრულ, არამედ აქამდე არსებულ ნებისმიერ თარგმანთან შედარებით“.**

საგამომცემლო
ჯგუფი.

წიგნის შეძენის მსურველებს, შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე: 599 58-72-50 (ბესო)


**საერთო გაზეთი**
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983